


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბატონი ბეჭდუნი სიფყავა, ტყუილებით და ჭებებით ბუბთის გატანა ყველა უჯარბისბაჭე უსამაგლესია.

შაბათი, 12 ნოემბერი. 2016 წ. №212 (8104), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქართველ სამხედროებს გერმანელები მადლობას უხდიან



გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავღანეთში მებრძოლ ქართველ სამხედროებს გერმანიის საკონსულოზე თავდასხმის მოგვრებისთვის მადლობას უხდის. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

11 ნოემბერს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც საუბარია 10 ნოემბერს, ავღანეთის ქალაქ მაზარ-ი-შარიფში გერმანიის გენერალურ საკონსულოზე მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის მოგვრებაში ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ მონაწილე ქართველი სამხედროების მიერ შეტანილ განსაკუთრებულ წვლილზე. სამინისტროს განცხადების თანახმად, თავ-

დასხმის მოგვრება და საკონსულოს ყველა თანამშრომლის უვნებლად გადარჩენა შესაძლებელი გახდა ავღანეთის უსაფრთხოების ძალებისა და ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მამაცური და თავდადებული მოქმედებების შედეგად.

„გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს ავღანეთის უსაფრთხოების ძალებისა და მტკიცე მხარდაჭერის მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მიმართ, რომლებმაც დაუყოვნებლივ აღმოუჩინეს დახმარება გერმანულ მხარეს და თავდასხმა წარმატებით მოიგერიეს“, – აღნიშნულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მსოფლიო ლიტერატურა

**წიგნი
ნათლის
მხეც-
ჩისა** 6 7

**სპენის
ჯაღოქარი**

**14 ნოემბერი
ვასო
გომიაშვილის
დაბადების
დღეა...** 8

**გაგომიანილი
გეორგი-
ქარტოტრაში** 5

**ალექსანდრე
ასლანკაშვილი**

ნატოს წვრთნები საქართველოში

**ვინ არის
პროტესტანტი
დონალდ
ტრამპი?** 4

**ბინები,
რომლებსაც
დავნილები
ელიან** 3

**ქობა გვენტაძა:
ეროვნული
ბანკი
პრასოდეს
დუმს!** 3

ბრძელდება ხელმოწერა ბაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“

გაზეთი შეგიძლიათ გამოწეროთ:

ბაცნე – 2 14 39 06; 2 14 74 22; პლანეტა ფორტე – 2 98 89 90; ლიონი – 598 64 23 30.
პრეს+ – 599 24 00 42; ჯეომედია – 593 97 78 88; მერკური – 577 15 78 17;
ხელმოწერა შესაძლებელია რედაქციაშიც (სულხან-საბას №3).

საქ

გამოდის
1918
წლიდან

98



ქიმიური პროდუქციის წარმოების სფეროში მსოფლიო ლიდერი – BASF-ი საქართველოში უპირატესი

კომპანიის რეგიონული ოფისის საქართველოში გახსნასთან დაკავშირებულ საზეიმო მიღებას გუშინ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო. მთავრობის მეთაურმა BASF-ის მენეჯმენტს, განსაკუთრებით პირველ ვიცე-პრეზიდენტ ლორენ ტენტიურს რეგიონული ოფისისთვის საქართველოს შერჩევით მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ეს ცხადყოფს საქართველოს წინ-

სვლას, რომელსაც საფუძვლად უდევს მთავრობის ეფექტიანი რეფორმები. „სასიხარულოა, რომ კომპანია BASF-მა სათანადოდ შეაფასა საქართველოს მომგებიანი სტრატეგიული მდებარეობა და, ზოგადად, ევრაზიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი ბიზნესგარემო და გადაწყვიტა წარმომადგენლობის გახსნა საქართველოში – ბიზნესის, ლოგისტიკისა და ტრანსპორტის

მნიშვნელოვან ცენტრში. ეს ფაქტი ასევე უსვამს საზს ჩვენი ღია და ლიბერალური ეკონომიკის მქონე ქვეყნის მიღწევებს, რომელიც იზიდავს ინვესტორთა მზარდ რაოდენობას და სთავაზობს მათ ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. BASF-ი არის დიდი ისტორიის მქონე უმნიშვნელოვანესი კომპანია, რომლის წარმოებისა და გადამამუშავების შთაბეჭდილი პორტფელი მოიცავს ბევრ ძირითად სექტორს, მაგალითად, ქიმიურ ნივთიერებებს, ფუნქციური მასალები და ხსნარები, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ხსნარები, ნავთობი და ბუნებრივი აირი“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ ახალი წამოწყება რეგიონში, კომპანიას კიდევ უფრო დიდ წარმატებას მოუტანს. „საქართველოს სჭირდება თქვენნაირი ინვესტორები – კომპანიები, რომლებიც აცნობიერებენ ჩვენი ქვეყნის, როგორც ევროპისა და აზიის კარიბჭის როლს, რომელიც წარმოადგენს ხიდს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ახალი აბრეშუქის გზის ნაწილს. თქვენი შემოსვლა ასევე წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური და მარეგულირებელი გარემოს მაღალი ხარისხის დასტურს. საქართველოს მთავრობა გეგმავს თავისი ეფექტიანი რეფორმების დღის წესრიგის განხორციელების გაგრძელებას და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

ქუთაისში ტექსტილის ზონა მოეწყობა

საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის გენერალური მდიანის ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძის განმარტებით, დაგეგმილია, რომ ქუთაისში 15 ტექსტილის ახალი საწარმო გაიხსნას, რისთვისაც ასოციაციას ინვესტორების მოძიება უკვე დაწყებული აქვს.

ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძის თქმით, მთავრობასთან აღნიშნული პროექტი უკვე შეთანხმებულია და შესაბამისი მიწის ნაკვეთიც უკვე მოძიებულია.

მისივე ინფორმაციით, თურქული ბრენდები Pentil If Dagi ქუთაისში სამკერვალო ფაბრიკების გახსნას განიხილავენ. მჟავანაძე ამბობს, რომ სამი საწარმოს მშენებლობისთვის პოტენციური ინვესტორი უკვე არსებობს და მათთან ინტენსიური მოლაპარაკებებიც წარმოებს.

საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის გენერალური მდიანის ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძის იმედი აქვს, რომ 16 ნოემბერს სტამბოლში დაგეგმილ თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივ ბიზნესფორუმზეც მოხერხდება სათანადო ინვესტორების პოვნა.

პროექტის მიხედვით, თხუთმეტყვე საწარმოს მშენებლობაზე და შემდგომ მისი მუშაობის პროცესში 30 ათასამდე ადამიანი დასაქმდება. ერთი საწარმოს მშენებლობა კი ინვესტორს, დაზღვა/დანადგარებით აღჭურვის გარეშე 2-3 მლნ დოლარი დაუჯდება.

„ჩვენი მთავარი პრობლემა კვალიფიკაციისა და მუშახელის დეფიციტია, თუმცა ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრას. უნდა ვეცადოთ, რომ ახალი საწარმოები გაიხსნას სხვადასხვა რეგიონში, რათა რეგიონში

მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს და გაძინება არ მოხდეს. როგორც იცით, ბევრი ჩვენი თანამოქალაქე უცხოეთშია წასული და ჩვენ, ადგილზე ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მათ დაბრუნება მოუნდეთ“, – აცხადებს ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძე.

16 ნოემბერს სტამბოლში დაგეგმილ თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივ ბიზნესფორუმში 90-მდე ქართული კომპანია მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის გენერალური მდიანის ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძის განმარტებით, საქართველო ინვესტორებისათვის მიზიდველი ქვეყანაა და მათ დასაინტერესებლად ყველა პლატფორმა უნდა იქნეს გამოყენებული. „ჩვენი მიზანი და სურვილია საქართველოში მეტი ინვესტორი ჩამოვიდეს. საქართველოს დიდი საინვესტიციო პოტენციალი გააჩნია და ამის მაქსიმალური გამოყენება უნდა მოხდეს“, – აცხადებს საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის გენერალური მდიანი, რომელსაც იმედი აქვს, რომ ფორუმის შემდგომ რამდენიმე ბიზნესგარიგებაც დაიდება. უკვე ცნობილია, რომ ფორუმში მონაწილეობას სამივე ქვეყნის ეკონომიკის მინისტრები მიიღებენ. ფორუმზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ინვესტორებს საქართველოს მაკროეკონომიკურ პარამეტრებს და ბიზნესშესაძლებლობების შესახებ მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას.



თეა წულუკიანი: აუსილაპლია მოსახლეობის ნდობა!



თუპი არჩევნების ელექტრონული სისტემით ჩატარებისადმი მოსახლეობის ნდობა იქნება, მაშინ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებიც უფრო ადვილად განხორციელდება, – ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა არჩევნების ელექტრონულად ჩატარების თემის კომენტარებისას განაცხადა. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოში მესამე წელია, რაც ვაფასებთ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მზაობას საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. ესტონელი ექსპერტები აფასებდნენ ამ სისტემას. შეფასებამ აჩვენა, რომ ტექნიკურად და ტექნოლოგიურად მზადყოფნა არსებობს, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია, მოსახლეობას ჰქონდეს ნდობა ამ სახის სისტემისადმი, რომელიც, ჩემი აზრით, გაცილებით უფრო გამჭვირვალე და სუბიექტურობისგან დაცული სისტემაა. რაც ნაკლები ადამიანის ხელი იქნება თუნდაც დათვლის პროცესში ჩარეული, ალბათ უფრო მეტად სანდოოდ უნდა ჩაითვალოს ასეთი კენჭისყრის შედეგები“, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

დიასპორის სამინისტრო საბარაო სპეციალური სამინისტროს შექმნა

რობორც დიასპორის ყოფილ წევრს, მნიშვნელოვნად მიმჩნია, რომ მთავრობის პრიორიტეტად დარჩეს დიასპორის თემებზე მუშაობა, – ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, რომელიც დიასპორის სამინისტროს შესაძლო გაუქმებას შეეხებოდა. „მრავალი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი, ვსწავლობდი, ვმუშაობდი საქართველოს ფარგლებს გარეთ, ვიყავი ქართული დიასპორის ნაწილი, აქედან გამომდინარე, როგორც ამ დიასპორის ყოფილი წევრი მნიშვნელოვნად ვთვლი, რომ მთავრობის პრიორიტეტად დარჩეს დიასპორის თემებზე მუშაობა და ეს უბრალოდ თემა კი არ იყო, არამედ პრიორიტეტი, როგორც ეს აქამდე იყო“, – განაცხადა თეა წულუკიანმა. მისივე თქმით, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ ძალიან დიდი სამუშაო გასწია.

ალექს ტაბატაძე სუს-ის უპროსის მოადგილე



იუსტიციის მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილე ალექს ტაბატაძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ინფორმაცია ამის შესახებ სუს-ში დაგვიდასტურეს. ალექს ტაბატაძე თეა წულუკიანის მოადგილედ სამი წლის განმავლობაში მუშაობდა.

ქუთაისში კომენტარი რუსეთის საბარაო სპეციალური სამინისტროს განხორციელებაზე



რუსეთის დიპლომატიური უწყება თანამემამულეებს საქართველოში ვიზიტისას შესაძლო რისკების შესახებ აფრთხილებს. აქვე რუსეთის ტურიზმის სააგენტო ტუროპერატორებს მოუწოდებს, ტურისტებს საქართველოში არსებულ რისკებზე მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდონ. „იმის გამო, რომ რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წელს შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა ჯერ არ აღდგენილია, რუსეთის მოქალაქეების სამართლებრივი დაცვა ქვეყანაში შეზღუდულია. საქართველოში ამ დრომდე მოქმედებს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომლის საფუძველზეც, გასულ წელს რუსეთის სამი მოქალაქე დააკავეს, იყო რუსეთის მოქალაქეების დენის ფაქტებიც“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში. საპასუხო განცხადება ეკონომიკის მინისტრმა გააკეთა. დიმიტრი ქუმსიშვილის თქმით, ქვეყნისთვის იმიჯი მნიშვნელოვანია და აუცილებელია ფაქტზე დროული რეაგირება.

გუბაზ სანიკიძე ღიდ რაოზიშირა მოძრაობას აანონსებს



„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ პარტია დატოვა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ პარტიის დატოვების მიუხედავად პოლიტიკაში რჩება. „ვიღებ გადაწყვეტილებას, დავტოვო „ეროვნული ფორუმის“ რიგები, თუმცა ვრჩები პოლიტიკაში და ხელს შევუწყო დიდი ოპოზიციური მოძრაობის ჩამოყალიბებას. უახლოეს პერიოდში გაიგებთ, რა და როგორ იქნება. დრო მჭირდება კონსულტაციებისთვის“, – განაცხადა სანიკიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის აზრით...

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე ლარის კურსთან დაკავშირებით საუბრობს და აცხადებს, რომ საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში...



რიოდში ქართულ ვალუტას ექნება გამყარების მიმართულება. „ლარის კურსზე მოქმედებს სხვადასხვა გარემოებები, სხვადასხვა მოლოდინები და ეს ყველაფერი არის ერთად ასახული, ანუ იქნება გაუფასურებელი, გამყარებელი, მაგრამ საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში ვფიქრობ, რომ ჩვენ ვალუტას ექნება გამყარების მიმართულება“, - განაცხადა სეზ-ის პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ეროვნული ბანკი არასდროს არ დუმს და როცა საჭიროა, ყოველთვის აკეთებს განცხადებებს. „ინტერვენციებთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ საკმაოდ ნათელი მაგალითი გავიცით და განცხადებაც გავაკეთეთ. მინდა,

ისიც აღვნიშნო, რომ ეროვნული ბანკი არ დუმს და ყოველთვის აკეთებს განცხადებებს, როდესაც საჭიროა. ასევე, იყო მსხვილი და ერთჯერადი ტრანზაქციები, ჩვენ გავაკეთეთ ეს ინტერვენციები, ეს არის ეროვნული ბანკის სტრატეგიაში, ეს არის ის, რაც ადრეც ძალიან ბევრჯერ გაუკეთებია ეროვნულ ბანკს - 2012, 2013, 2014, 2015 წლებში და გაცილებით უფრო მეტი მოცულობით, უფრო მეტი მოცულობით, ვიდრე ახლა გავაკეთდა. ეს იყო აბსოლუტურად შესაბამისობაში იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ეროვნული ბანკი ატარებს. არ არის გამორიცხვად, რომ მომავალში, როდესაც საჭირო იქნება, ამის გამოყენება მოუხდეს ეროვნულ ბანკს“, - განაცხადა გვენეტაძემ. მისივე თქმით, წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა არა მარტო გაყიდვები გააკეთა, საკმაოდ დიდი შესყიდვებიც ჰქონდა და ეს ყველაფერი ყურადღების მიღმა რჩება. რაც შეეხება იმას, რამდენად აქვს რეზინანსირების გაზრდილი სესხებს გავლენა კურსის ცვლილებაზე, კობა გვენეტაძის თქმით, ეს არის ლიკვიდობის მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც ყველა პროგრესული პოლიტიკის გამტარებელი ეროვნული ბანკი იყენებს და ეს არ ახდენს გავლენას გაცვლით კურსზე.

საქართველოში საკმაოდ უცნაური ეკონომიკური სიტუაციაა შექმნილი - მაშინ როცა ლარი ისტორიულ მაქსიმუმებს იპყრობს და ერთ დოლართან ეროვნული ვალუტის კურსი 2,48 ნიშნულს აღწევს, საქართველოს სტატისტიკის სამსახური გვაუწყებს, რომ ქვეყანაში დეფლაციაა, კერძოდ: „საკსტატის“ მონაცემებით, 2016 წლის ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ცვლილებამ მინუს 0,2% შეადგინა. 2013 წლის სექტემბრის შემდეგ ეს საქართველოში პირველი შემთხვევაა, როდესაც ინფლაცია დეფლაციამ შეცვალა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ინფლაცია ყველაზე მაღალი - 6,3%, 2015 წლის ნოემბერში იყო. მაშინ ინფლაციის მიზეზი ლარის მკვეთრი გაუფასურება გახლდათ, წელს კი, მიუხედავად ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა, ინფლაციის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ფასების 6,7-პროცენტით კლება და ფიქსირდა ტრანსპორტის ჯგუფზე, რაც -0,79 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში. ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-16,1 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-8,8 პრო-

დეფლაცია საქართველოში

ცენტი); ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა - ამ ჯგუფში ფასები 3,9 პროცენტით არის შემცირებული, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,25 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების კლება დაფიქსირდა გამათბობელი და საჭმლის მოსამზადებელი მოწყობილობის, მაცივრების და სხვა საყოფაცხოვრებო საგნების ქვეჯგუფზე (-7,6 პროცენტი) და ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროების საქონელსა და

ლობაში საკმაოდ გაიზარდა. შედარებით მაღალი ინფლაცია ფიქსირდება თამბაქოსა და ალკოჰოლურ ნაწარმზე. ამ ჯგუფში საქონლის ღირებულება, წინა წელთან შედარებით, 10,9%-ითაა გაზრდილი, რაც ამ პროდუქტებზე აქციზის გადასახადის ზრდას უკავშირდება. ეს მონაცემები წლიური ინფლაციის ფორმირების საფუძვლებს ნათელყოფს, თუმცა ყველაზე კარგად იცის, რომ სექტემბრიდან ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც ნავთობპროდუქტებზე ფასების შემცირება და რომელიც ფასების შეკავებაზე სერიოზულ ასახვას პოვნობდა, საქართველოს ეკონომიკას გამოაკლდა. ამას დაემატა ლარის კურსის სექტემბერ-ოქტომბრის ცვლილება და ცხადი ხდება, რომ როგორც მეთოდოლოგიურად უნდა დაითვალოს ინფლაცია, ფასები ქვეყანაში უდავოდ გაიზარდა. ერთადერთი შემთხვევითი ფაქტორი ამ დროს მოთხოვნის შემცირებაა. კერძოდ, როცა ეკონომიკა არ იზრდება, მოთხოვნაც დაბალია, თუმცა ეს ფაქტორი ფასების ზრდის გარდაუვალობისგან, სამწუხაროდ, ვერ დაგვაზღვევს.



ნიკო ვაშაძე

დევენილთა საკითხების შემსწავლელმა გაფართოებულმა კომისიამ, რომელიც თბილისში 400 დევნილი ოჯახისათვის ბინების გადაცემის საკითხს განიხილავს, მუშაობა დაიწყო. ბინები მათ 2016 წლის ბოლომდე უნდა გადაეცეთ. როგორ მიმდინარეობს ბინების განაწილების პროცესი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ დევნილები და რა ხარვეზებზე მიუთითებენ ისინი? გაგრძელდა დევნილ 45 წლის ლია სონგულიას რადიო „თავისუფლება“ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ესაუბრა. ის ექვსი წელია, გლდანში, ე. წ. კონტინერში, ძალთან ერთად ცხოვრობს. თითქმის ორი წელია, დევნილთა და განსახლების სამინისტროში ბინის მიღების თხოვნით განცხადება შეავსო, მაგრამ ბინას ამ დრომდე უშედეგოდ ელის. დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ მისი საცხოვრებელი პირობები 8,5 ქულით შეაფასა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ შოთა რეხვიაშვილმა რადიო „თავისუფლებას“ უთხრა, რომ სამინისტრო ლია სონგულიას საკითხს შეისწავლიდა და ის ბინას უახლოეს მომავალში მიიღებდა, ლია დღემდე კონტინერში აგრძელებს ცხოვრებას: „უკვე ვთვლი, რომ აზრი არ აქვს იქ მისვლას, იმიტომ, რომ მივალ შესასვლელთან, არც „პროპუსს“ მაძლევენ, არც არავისთან შეხვედრა არ შემიძლია და არავის იმედი არ მაქვს. სოციალურად დაუცველი ვარ, ვაგონში ვცხოვრობ რამდენი ხანია და არ ვიცი ვის მივმართო, სიმაღლე არსად არ არის“. დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილეს შოთა რეხვიაშვილს რადიო „თავისუფლება“ 10 ნოემბერსაც დაუკავშირდა. მან ჩვენთან საუბრისას დაადასტურა, რომ გაგრძელდა დევნილთა ლია სონგულიას კომისიამ ბინის მისაღებად საჭირო 8,5 ქულა მართლაც მიანიჭა, მაგრამ საქმე მხოლოდ ამით არ სრულდება: „მიდასტურებენ, რომ 8,5 ქულით ახლა ვინილავთ ლია სონგულიას საკითხს, საჯარო რეესტრშიც არის და ახლა უნდა გავიდეს კომისიაზე და გეტყვიტ პასუხს, ოფი-



ბინები, როგორც დავენილთა ელიან

ციალური პასუხი 18 ნოემბრის შემდეგ გვექნება“. ლია სონგულიას მსგავსად, ბინის მიღების მოთხოვნით განცხადება 2016 წელს კიდევ 11 ათასამდე დევნილმა ოჯახმა შეავსო, თუმცა დევნილთა საკითხების შემსწავლელმა გაფართოებულმა კომისიამ მათგან ჯერჯერობით მხოლოდ ის 400 ოჯახი შეარჩია, რომლებსაც წლის ბოლომდე ბინები ე. წ. „ოლიმპიურ სოფელს“ და მენაშენებისგან გამოსყიდულ კორპუსებში გადაეცემათ. კომისიამ მუშაობა სამი დღის წინათ დაიწყო და, როგორც შოთა რეხვიაშვილმა გვითხრა, მუშაობას 18 ნოემბრისთვის დაასრულებს. მისივე თქმით, საცხოვრებელი ფართების გადაცემის წინაპირობა დევნილი ოჯახებისათვის მინჭებული ქულები და მათი მდგომარეობაა: „რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო მიუთითებს ოჯახის გაჭირვებაზე. კმაყოფილდება ოჯახი, რომელსაც გადაუდებლად ესაჭიროება განსახლება მისი სოციალური მდგომარეობიდან, ეკონომიკური მდგომარეობიდან, ქვეყნის წინაშე დამსახურებიდან და ა. შ.“ ჩამონათვალი, ანუ კრიტერიუმები,

რომლებიც დევნილმა ოჯახებმა უნდა დააკმაყოფილონ ბინის მისაღებად, საკმაოდ ვრცელია და ეს კრიტერიუმები დევნილთა და განსახლების მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს ბრძანებითაა გაწერილი: მაგალითად, თუკი დევნილი ოჯახი ცხოვრობს ავტოფარეშში, კიბის უჯრედში, სის ფიცრულში ან მისი საცხოვრებელი ადგილი კერძო პირს ეკუთვნის, მესაკუთრეს კი დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლება სჭირდება. გარდა ამისა, უპირატესობა ენიჭება ოჯახებს, სადაც არის 3 ან მეტი 18 წელზე მცირე ასაკის ოჯახის წევრი, მძიმედ დაავადებული ოჯახის წევრი ან რომლის წევრი გარდაიცვალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში და სხვა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დევნილთათვის ქულების მინიჭებისა და ბინების გადაცემის პროცესს უკავშირდება, არის ამ პროცესში თაღლითური სქემების ამოქმედება. ამ ბრალდებით გასული წელს სამი ადამიანი დაკავებული. 3 ნოემბერს შს სამინისტრომ ამავე ბრალდებით კიდევ ერთი პირი დააკავა. გამოძიებამ დაად-

გინა, რომ 2016 წლის ოქტომბერში ის აფხაზეთიდან დევნილ საქართველოს მოქალაქეს დაპატიმრდა, რომ დევნილთა და განსახლების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების დახმარებით, თბილისის ტერიტორიაზე მიიღებდა საცხოვრებელ ბინას, რის სანაცვლოდაც მოსთხოვა 6 000 აშშ დოლარი. საქართველოს დევნილთა პარტიის თავმჯდომარე ლელა გულედანი ფიქრობს, რომ ამგვარი თაღლითობის მიზეზი სწორედ ქულების მინიჭების კრიტერიუმებია და ამიტომ ძირითადად შესაცვლელი სქემა და კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც დევნილებს ბინების მისაღებად საჭირო ქულები ენიჭებათ. გაფართოებული კომისიის მუშაობას აკვირდება სახალხო დამცველის აპარატი, რომლის წარმომადგენელი მერი კოჭლამაზაშვილი ამბობს, რომ კომისიის მუშაობის პრინციპი გამჭვირვალეა და მასში ჩართვა ნებისმიერ დანიტერესებულ პირსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია. რაც შეეხება დევნილი ოჯახების შერჩევის კრიტერიუმებს, მისი აზრით, ბინებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაკმაყოფილდნენ ის დევნილი ოჯახები, რომლებიც ე. წ. ნგრევად შენობებში ცხოვრობენ. ამ რეკომენდაციებს ომბუდსმენი თავის ანგარიშებშიც იძლევა. როგორც მერი კოჭლამაზაშვილი ამბობს, სახალხო დამცველისთვის უცხო არ არის დევნილთა განცხადებები, რომლებიც სწორედ კომისიის მიერ მინიჭებულ ქულებს აპროტესტებენ: „ყველა ასეთი ფაქტის შესწავლას ვინებთ - რამდენად დააკლეს ქულა, რამდენად ეკუთვნოდა და ა. შ. სწორად გვაქვს შემთხვევა, როდესაც ჩვენი განცხადების ან რეკომენდაციის, ან შუამდგომლობის საფუძველზე მომხდარა ქულის გადამონება ან ქულის მომატება“. მხოლოდ დედაქალაქში საცხოვრებელი ფართის მოლოდინში 30 ათასამდე დევნილი ოჯახია. მათგან 2015 წელს 561 ოჯახს გადაეცა ბინა. წლეულს უკვე განაწილდა 100 ბინა, წლის ბოლომდე კი საცხოვრებელ ფართს კიდევ 400 ოჯახი მიიღებს.

ნიკო თარხნიშვილი

© ჩვენც უსაფრთხო სამხარო ნაწილი ვართ...

ნატოს სამხედროები საქართველოში

რას უფრო მეტი განვითარების სახედრო გეგმავთ, მით უკეთესი!..

10-20 ნოემბერს „კრწანისში“ ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი „ნატო-საქართველოს სწავლება 2016“-ს უმასპინძლებს. ოფიციალური ინფორმაციით, მრავალეროვანი სწავლების პროცესში ჩართულია 13 ქვეყნის 250 სამხედრო, რაც მნიშვნელოვან მოვლენად განიხილება როგორც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქრილიში.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 10 ნოემბერს დაწყებული მრავალეროვანი სწავლების პროცესში, ქართველ ოფიცრებთან ერთად, ჩართული არიან ნატოს წევრი 11 ქვეყნისა და პარტნიორი 2 ქვეყნის სამხედროები. თურქეთის, ლატვიის, ლიეტუის, ნიდერლანდის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ბელგიის, სლოვენის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის გვერდით ჩამონათვალში ვხვდებით უკრაინასა და მაკედონიას.

წარმომადგენლობითი ღონისძიების დაწყებას თავის ოფიციალურ ფეისბუქზე გამოეხმაურა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი. ღონისძიების მნიშვნელობას ის ნატო-საქართველოს ურთიერთობებისა და უსაფრთხოების ქრილიში განიხილა:

„მივესალმები ნატო-საქართველოს რიგით მეორე ერთობლივი წვრთნების დაწყებას, რომელიც 10-დან 21 ნოემბრამდე გასტანს. ეს არის კიდევ ერთი ქვაკუთხედი ნატოსა და საქართველოს ხანგრძლივი მჭიდრო თანამშრომლობისა და საქართველოს ერთგულების კიდევ ერთხელ აღიარებისა – მტკიცე თავდაცვის, ნატოს ოპერაციებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით“.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, სწავლება, რომლის სცენარიც მაქსიმალურად მიახლოებულია რეალურ გარემოსთან, მიზნად ისახავს საქართველოსა და ნატოს წევრი თუ პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის თავსებადობის ამაღლებას და ის ეხმარება ქართველ ოფიცრებს დაგეგმვის, კოორდინირებისა და კრიზისების დაძლევის შესაძლებლობათა დახვეწაში.

„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში დაარსებული წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTTC) პირველად მასპინძლობს ნატო-საქართველოს ერთობლივ სიმულაციურ სწავლებას“, – უთხრა 10 ნოემბერს ჟურნალისტებს ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე გამართულ პრესკონფერენციაზე თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა და იქვე ერთ საყურადღებო გარემოებასაც გაუსვა ხაზი:

„პირველად ხდება ნატოს ისტორიაში,

როდესაც დაგეგმვის პროცესიდან აღსრულებამდე საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTTC) ახორციელებს ქმედებებს. მნიშვნელოვანია ამ სწავლების ჩატარება საქართველოში, რადგან ეს ნატოს მხრიდან მტკიცე მხარდაჭერის დასტურია საქართველოს მისწრაფებებისადმი, რომელსაც განუხრელად ახორციელებს ქვეყანა და ქვეყნის ყველა სახელმწიფო უწყება“.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, მაგალითად, მისში ჩატარებული სამხედრო სწავლების, „ლიტსეული პარტნიორი 2016“-ისგან (Noble Partner 2016) განსხვავებით, სადაც მონაწილეობას ამერიკული ჯავშანტექნიკაც იღებდა, 10 ნოემბერს დაწყებული პროცესი სამეთაურო-საშტაბო სწავლებას გულისხმობს, რაც რუკებისა და კომპიუტერების დახმარებით მიმდინარეობს. სწორედ სწავლების სპეციფიკას განუმარტავს რადიო „თავისუფლებას“ სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ რედაქტორი, ექსპერტი სამხედრო საკითხებში თემურ ჩაჩანიძე:

„საშტაბო გამოცდილებისა და ურთიერთშეთანხმებული მოქმედების სრულყოფა ხდება ამ დროს და ამით განსხვავდება სამეთაურო-საშტაბო სწავლება ჩვეულებრივი საველე მეცადინეობებისგან. ერთი, ეს არის გამოცდილების ცაზიარება და მეორე, თითოეული ჩვენს ოფიცრებს ამათ სრულყოფენ თავიანთ მუშაობას. რუკაზე მუშაობა რას ჰქვია?! აქ გასაკეთებელია გარკვეული გათვლები: რა ძალები უნდა იქნეს გამოყენებული, რა რაოდენობის ტყვია-წამალია საჭირო, ბრძანებები როგორ უნდა შეიქმნას და ასე შემდეგ... მთელი სისტემაა ეს, რასაც საშტაბო მუშაობა ჰქვია და ამის დახვეწა ხდება“.

თემურ ჩაჩანიძისთვის მეტად მნიშვნელოვანია 10 ნოემბერს წამოწყებული პროცესი, როგორც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ნატოსა და საქართველოს ურთიერთობებში. ექსპერტი ფიქრობს, რომ ქართველი ოფიცრების ცოდნა და გამოცდილება მუდმივად უნდა ვითარდებოდეს ნატოს მოთხოვნების შესაბამისად, რადგანაც საქართველო პარტნიორი ქვეყანაა და ის აქტიურად მისწრაფვის ალიანსში ინტეგრაციისკენ.

„დარწმუნებულები ვართ, რომ სწავლების დასრულების შემდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალები კიდევ უფრო თავსებადი გახდება ნატოსთან და ჩვენი სამხედროები შეძლებენ ეფექტურად დაგეგმონ და კოორდინაცია გაუწიონ მრავალეროვნულ ქვედანაყოფებს კრიზისების მართვის ოპერაციების დროს“, – განაცხადა 10 ნოემბერს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩაბაიამ.

ლელა ჩიქოვანია



აკითხვების თხოვნით



პინ არის

პროტესტანტი დონალდ ტრამპი?

აშშ-ის რიგით 45-ე პრეზიდენტი 70 წლის დონალდ ტრამპი გახდა. გთავაზობთ რიგ დეტალებს მისი საპრეზიდენტო კამპანიიდან და ბიოგრაფიიდან.

ნიუ-იორკელმა ბიზნესმენმა და რეალიტი-შოუს ტელენამყვანმა დონალდ ტრამპმა მოულოდნელად გაიმარჯვა პრაიმერიზში გასულ ზაფხულს და რესპუბლიკური პარტიისგან საპრეზიდენტო კანდიდატად იქცა. უცერემონიო მილიარდერმა გააოცა პოლიტოლოგები და პარტიების ხელმძღვანელები: მან შეძლო, გადაესწრო 16 სხვა კანდიდატისთვის და ივლისში, კლივლენდში, რესპუბლიკელების ყრილობაზე ნომინაცია მიიღო.

ტრამპი არასოდეს ყოფილა დაკავებული პოლიტიკით და აღიქმებოდა კანდიდატად ისტებლიშმენტის წინააღმდეგ. იგი ხშირად დამამცირებელი ფორმით აკრიტიკებდა თავის ოპონენტებს ტელედებატების მსვლელობისას და „ტივიტერში“.

ტრამპის ბოლო შიდაპარტიული კონკურენტები სენატორი ტეხასიდან ტედ კრუზი და ოჰაიოს გუბერნატორი ჯონ კეისიკი იყვნენ. მოუგო რა მათ, ტრამპმა დემოკრატ კანდიდატ ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ საპრეზიდენტო ბრძოლაში ჩართვის უფლება მოიპოვა.

ტრამპის კამპანიამ ლოზუნგით „კვლავ ვაქციეთ ამერიკა დიად სახელმწიფოდ!“ ჩაიარა. იგი ქვეყანაში სამუსაო ადგილების რაოდენობის გაზრდასა და გადასახადების შემცირების იდეებს აყდევებდა, თუმცა საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის დეტალები საზოგადოებისთვის დიდად არ გაუნდია და ხშირად იცვლიდა აზრებს.

ტრამპმა „კანონისა და წესრიგის გამაგრებების“ პირობა დადო, ასევე დაჰპირდა ამომრჩევლებს, რომ მექსიკასთან საზღვარზე კედელს ააშენებს არალეგალური იმიგრაციის გზების გადასაკეტად. ამასთან, მისი აზრით, კედლის მშენებლობის ხარჯი თავად მექსიკამ უნდა გაიღოს.

გარდა ამისა, ტრამპმა პირობა დადო, რომ მუსლიმი იმიგრანტებისთვის „უკიდურესად მკაცრ შემოწმებებს“ დაანებს ტერორისტების გამოსავლენად. და მეტიც, ტრამპი აშშ-ში მუსლიმების შესვლაზე სრული აკრძალვის დაწესებას ახსენებდა, თუმცა მოგვიანებით ამ იდეაზე უარი თქვა.

70 წლის ტრამპი აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტ ბარაკ ობამას სუსტ მმართველად მიიჩნევს, ხოლო სირიასა და სხვა ცხელ წერტილებში მის პოლიტიკას – კრახად.

განსაკუთრებით მწვავედ ტრამპი ირანთან 2015 წელს დადებულ საერთაშორისო ბირთვულ ხელშეკრულებას აკრიტიკებდა, რომელიც ვაშინგტონის აქტიური მონაწილეობით გაფორმდა. პილარი კლინტონის მიმართ იგი შეფასებას „აშშ-ის ისტორიაში ყველაზე უარესი სახელმწიფო მდივანი“ იყენებდა, ხო-

ლო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს „შესანიშნავ ლიდერად“ მოიხსენიებდა.

ტრამპმა რამდენჯერმე გამოავლინა გაუთვითცნობიერებლობა საგარეო პოლიტიკის საკითხებში; კერძოდ, არ იცოდა რუსეთის მიერ ყირიმის ხელში ჩაგდების შესახებ.

ტრამპის წინაპრებს გერმანული და შოტლანდიური ფესვები აქვთ. თავად დონალდი ნიუ-იორკში, შეძლებული დეველოპერის – ფრედ ტრამპის ოჯახში დაიბადა.

მას კერძო სკოლა-ინტერნატი „ნიუ-იორკის სამხედრო აკადემია“ აქვს დამთავრებული. შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში ბრონქსში, ფორდემის უნივერსიტეტში სწავლობდა. 1968 წელს კი უორტონის პრესტიჟული ბიზნეს-სკოლა დაამთავრა და ეკონომიკის ბაკალავრის წოდება მიიღო.

ტრამპს არმიაში არ უმსახურია. ვიეტნამის ომის დროს მას სავალდებულო სამსახურს უვადებდნენ – ხან როგორც სტუდენტს, ხან – ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლის დროს ტრამპმა უძრავი ქონების სფეროში მამამისის კომპანიაში დაიწყო მუშაობა, ხოლო 1979 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ ფირმას სათავეში ჩაუდგა.

ტრამპის კორპორაციამ მსოფლიოს მასშტაბით რამდენიმე ცათამბჯენი და კაზინო ააშენა, მათი უმრავლესობა ნიუ-იორკშია თავმოყრილი. ბოლო წლებში კი ტრამპი გოლფის მოედნებს აშენებდა. გარდა ამისა, მან სილიკონის რამდენიმე ამერიკული და საერთაშორისო კონკურსი ჩაატარა.

ტრამპის კომპანიებს რამდენჯერმე აქვთ გამოცხადებული თავი ბანკრუტად. გარდა ამისა, მან ვერ დააარსა უნივერსიტეტი, ვერ ჩაუშვა წარმოებაში სტიკისა და ბუტილირებული წყლის საკუთარი მარკები.

ტრამპმა, რომლის ქონება 3-3,7 მლრდ დოლარად ფასდება, რეალური შოუ „კანდიდატის“ წამყვანის როლში გაითქვა სახელი, რომელიც ტელეეკრანებზე 2004 წელს გამოჩნდა. ყოველი სერიის ბოლოს წამყვანი ერთ-ერთ მონაწილეს პროექტიდან აგდებდა სიტყვებით „შენ გათავისუფლებული ხარ!“. 2016 წელს „ენ-ბი-სიმ“ შოუ იმიგრანტების მიმართ ტრამპის შეურაცხყოფელი გამოხატვების გამო დახურა.

აშშ-ის ახალ პრეზიდენტს 3 ცოლისგან 5 შვილი და 8 შვილიშვილი ჰყავს. ქალიშვილი – ივანკა ტრამპმა და ვაჟებმა – დონალდ უმცროსმა და ერიკმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მის წინაასაარჩევნო კამპანიაში.

ტრამპი პრესვიტერიანულ ეკლესიას – პროტესტანტიზმის ერთ-ერთ მიმდინარეობას განეკუთვნება.

დავით როგანოვი, „პო პაპაზა“

გაგონილი გეგმები-კარტოგრაფი ალექსანდრა ასლანიკაშვილი - 100



2016 წლის 17 მარტს შესრულდა ცნობილი გეოგრაფი-კარტოგრაფის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ალექსანდრა ასლანიკაშვილის დაბადებიდან 100 წელი.

ბატონმა ალექსანდრემ დაწყებითი და საშუალო სპეციალური განათლება მიიღო თბილისში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1934 წელს გეოდეზიურ და კარტოგრაფიულ საწარმოში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფი-გეოლოგიის ფაკულტეტი, აქვე მუშაობდა სტუდენტობის წლებში ლაბორანტად, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ

კი ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის კათედრის ასისტენტად.

1941 წელს განვეულ იქნა ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის კარტოგრაფიულ ნაწილში კარტოგრაფად, სადაც მან სამხედრო დანიშნულების მრავალი რუკა შეადგინა.

1947 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლად მივლინებულ იქნა ირანში, ქართველ ემიგრანტთა შტაბში მავლების საქართველოში დასაბრუნებლად. ეს მისია მან წარმატებით შეასრულა და 16 ოჯახი საქართველოში ჩამოიყვანა.

1951 წლიდან იწყება მისი 30-წლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა გეოგრაფიასა და კარტოგრაფიაში. თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში მიღებული საბაზისო განათლება, გარდაეხვეწა უნივერსიტეტში ს.ცხაკაიასა და ალ.ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით აისახა მის მიერ შედგენილ სამხედრო და ინჟინერულ რუკებში. ამ გამოცდილებათა საფუძველზე დაინერა მისი სადისერტაციო ნაშრომი „რელიეფის კარტოგრაფიული გენერალიზაციის თეორიისათვის“.

დიდა მისი წვლილი პ. ინგოროვას, ს.ჯიქიასა და ალ. ჯავახიშვილთან ერთად „გურჯისტანის“ ვილაიეთის დიდი დავითის რეკონსტრუქტორად, კარტოგრაფიულ კვლევაში. 1953 წელს გამოიცა მის მიერ შედგენილი გურჯისტანის ვილაიეთის რუკა.

მისი ინტერესი რელიეფის გამოსახვის მიმართ აისახა 1955 წელს გამოცემულ წიგნში „გეომორფოლოგიური ბლოკდიაგრამები“, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე პრემია დაიმსახურა.

ალექსანდრა ასლანიკაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1964 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემულ საქართველოს სსრ ატლასს. იგი იყო ატლასის სამეცნიერო რედაქტორის მოადგილე, 6 რუკის ავტორი და 16 რუკის თანაავტორი. ატლასს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ხოლო ალ.ასლანიკაშვილი და ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერები სახელმწიფო პრემიის ლაურეატები გახდნენ.

ატლასზე მუშაობის პროცესში ალ. ასლანიკაშვილმა ახლებურად გაიაზრა იმ დროს სადისკუსიო კარტოგრაფიის საგანი, მეთოდი და ენა, რაც ასახა 1968 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „კარტოგრაფია, ზოგადი თეორიის საკითხები. 1974 წელს გამოცემულ „მეტაკარტოგრაფიაში“ განხილული კარტოგრაფიის სემიოტიკური ასპექტებით იგი კარტოსემიოტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად იქნა აღიარებული.

1966-1975 წლებში ალექსანდრა ასლანიკაშვილი ხელმძღვანელობდა ახლად შექმნილი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის კარტოგრაფიის სექციას, წერდა სტატიებს, რედაქტირებდა უკეთებდა შავ-თეთრსა და ფერად რუკებს.

1979 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ალექსანდრა ასლანიკაშვილმა აბასთუმანის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მასალაზე დაყრდნობით დაამუშავა მეთოდიკა, რომლითაც შედგენილი იქნა და გამოიცა მთვარის პოლარიმეტრიული ატლასი. მისი ხელმძღვანელობით შედგენილი იქნა და 1989 წელს გამოიცა საქართველოს კურორტებისა და საკურორტო რესურსების ატლასი. ეს იყო ამ შინაარსის პირველი ატლასი საბჭოთა კავშირში.

სიცოცხლის ბოლო წლებში ა. ასლ-

ანიკაშვილი იკვლევდა გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის ერთიანობის საკითხს, მუშაობდა კოლხეთის ათვისების პრობლემაზე, ხელმძღვანელობდა კოლხეთის გეოგრაფიული ატლასის შედგენას.

1957 წლიდან ალექსანდრა ასლანიკაშვილი იყო გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, 1973 წლიდან უნივერსიტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრის გამგე, 1980-1981 წლებში გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი.

იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მუშაობაში, იყო მისი სწავლული მდივანი, პრეზიდიუმისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი, 1980 წლიდან – საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი. მიღებული აქვს მრავალი ორდენი და მედალი.

ალექსანდრა ასლანიკაშვილის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მემკვიდრეობის შეფასებისას სინანულით უნდა ითქვას, რომ დაუნერვლი დარჩა ათობით და ასობით გვერდი, შეუდგენელი დარჩა მრავალი რუკა და ატლასი. მისი ცხოვრების ყოველი წელი იყო უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; დედაამის შამსაძე-მეცნიერებათა განყოფილება; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ვახუშტი ბაბრათიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი; საქართველოს ალექსანდრა ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება.

მეცნიერების დღე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში



მეცნიერების საერთაშორისო დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) 2001 წელს დააწესა და ყოველწლიურად აღინიშნება.

2016 წლის 10 ნოემბერს მეცნიერების საერთაშორისო დღე აღინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის წევრებმა – აკადემიკოსებმა და წევრ-კორესპონდენტებმა, აგრარული მიმართულების დოქტორებმა და დოქტორანტებმა, აკადემიის აპარატის თანამშრომელებმა, მონაწილეობა სტუმრებმა.

საზეიმო ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მცენარეთა ინტეგრალური დაცვის მდგომარეობისა და წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის ღონისძიებების შესახებ ესაუბრა აკადემიის პრეზიდენ-

ტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. აგრარული მიმართულებების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები გ. მარგველაშვილი, გ. ჯავახიძე, თ. ყურაშვილი, ჯ. გუგუშვილი, ზ. ჩაქსელიანი, ჯ. კაციტაძე და ი. ვასაძე. გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს ნიადაგების დაცვისა და მათი ნაყოფიერების გაზრდის, სატყეო საქმის განვითარებისა და ტყის კოდექსის შექმნის აუცილებლობის, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის დარგების განვითარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების, აგროსაინჟინრო სამსახურის არსებული მდგომარეობისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესების, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ და ა.შ.

აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკად. ე.

შაფაქიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკადემიის განცხადება აგრარულ დარგში 2016 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომისთვის პრემიის მინიჭების კონკურსის გამოცხადების შესახებ.

აგრარულ დარგში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ხასიათის ნაშრომისათვის პრემიის ანიჭების საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია საქართველოს აგრარულ დარგში მოღვაწე მეცნიერების, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებსა და მათდამი დაქვემდებარებულ ან სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ დამუშავებულ თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო ნაშრომებს; წლის საუკეთესო ნაშრომისთვის პრემია მიენიჭება აგრარული მეცნიერებების შემდეგ დარგებში: აგრონომია, ვეტერინარია, მეცხოველეობა, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, აგრობიზნესის მენეჯმენტი და აგროინჟინერია;

აღინიშნა, რომ დებულების შესაბამისად განცხადება კონკურსის შესახებ გამოქვეყნდა აკადემიის ვებ გვერდზე (www.gaas.dsl.ge) და საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 30 დეკემბერი.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ მეცნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, აგრარული მიმართულებების დოქტორები და ახალგაზრდა მეცნიერები დააჯილდოვა სპეციალური სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

სსმ აკადემიის პრესამსახური

სახელმწიფო სანარკოტა შეისიკების პროცესი ბრძოლაში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აგრარულებს იმ საწარმოთა რაოდენობის ოპტიმიზაცია - მინიმიზაციის პროცესს, რომლებიც ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან.

სახელმწიფო მართვაში არსებული საწარმოები, რომლებიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებენ და არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, ექვემდებარებიან შერწყმას, ლიკვიდაციას, გაკოტრებას და წილის პრივატიზებას.

დღეის მდგომარეობით სააგენტოს მიერ გასხვისებული 12 სახელმწიფო საწარმო, რომელთა მთლიანმა საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა 35 750 800 ლარი. ამასთანავე ზემოთ ხსენებული საპრივატიზებო საფასურისა, ინვესტორებმა აიღეს ვალდებულება განახორციელონ მინიმუმ 13 900 000 ლარის ინვესტიცია.

სააგენტო მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს სახელმწიფო საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის პროცესს, რათა მოკლევადიან პერიოდში უმოქმედო საწარმოთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდეს.

„სისხარული“ 707000 ლარად გაიყიდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ პირობიან აუქციონზე ყოფილი კინოთეატრი „სისხარული“ შენობა 707 000 ლარად გაიყიდა. აუქციონის პირობების მიხედვით აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ინვესტორი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას უზრუნველყოფს და სულ მცირე 1 200 000 ინვესტიციას განახორციელებს.

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ქალაქ თბილისში, თემის დასახლებაში (კინოთეატრი „სისხარული“) მდებარე 3184.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ელექტრონულ აუქციონზე 18 ოქტომბერს გამოიტანა. უძრავი ქონების საწყისი ფასი – 461 000 ლარს შეადგენდა.




პაულო კოელიო

(ბრაზილია)

წიგნი ნათლის მხედრისა

პორტუგალიური ტექსტი დედნის ბჭკარედის მიხედვით გადმოაქნა ბურამ ბოგიაშვილმა



წიგნის ოცნების სამყაროში გადაყვარით, გვასწავლის ცხოვრების მოულოდნელობათა ადვილად აღქმას, გვასწავლის ჩვენს იშვიათ ბედობლიან ღირსეულად შეგუებას. მოკლე შთამბეჭებელი არაკები იმ მხედრის, იმ მან კაცთა გზაზე გვაცხებენ, ვინც იცის ცხოვრების გრძელელების ყადრი, ვისაც შეუძლია თავისი მარცხის აღიარება და შუა გზაზე არა ჩერდება, ვინც ეძებს თავის გზა-საგაღას და პოულობს კიდევ.

აქვე უნდა მადლობა შეგუთვალო პაულო კოელიოს ყველა ნაწარმოების პორტუგალიურიდან რუსულად ჩინებულ მთარგმნელს ალექსანდრე ბოგდანოვისს, რომელსაც უარი არ უთქვამს „ნათლის მხედრის“ ბჭკარედის გამოგზავნაზე, და საერთოდ ქართული კოელიოს მიმართ ნამდვილი შემოქმედისთვის ჩვეული ყურადღების გამოჩენისთვის.

* * *

P.S. პაულო კოელიო თანამედროვე საკულტო მწერალია. ბრაზილიელია, წერს პორტუგალიურად, ცხოვრობს

ევროპაში, არის ბრაზილიის აკადემიის წევრი. ვაერთის მშვიდობის დესპანი, საბატო ლეგიონის ორდენის კავალერი. კოელიოს წიგნები გადაეწებულა მსოფლიოს 80 ენაზე და გაყიდულია 175 მილიონზე მეტი ტირაჟით.

თორღე სიტყვით ბარემ აქვე შეგახსენებ მკითხველს, რომ კოელიოს ეს მეხუთე ფილოსოფიურ-პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოებია, რომელსაც „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს ვთავაზობთ. წიგნი მკითხველი უკვე იცნობს კოელიოს „მეხუთე მთას“, „ალქიმისტის“, „მოგვის დღიურსა“ და „ბრიდას“, რომლებიც ბოლო 15 წლის მანძილზე სწავლასწავადროს დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

იმედია, ნაბეჭდი წიგნის ჭეშმარიტი მკითხველი ჩვეული გულიყურით შეხვდება ამ არაჩვეულებრივი მწერლის ასევე არაჩვეულებრივ ნაწარმოებს, რომელიც დაწერილია ამ საუკუნის დამდეგს.

ბ.ბ.



პროლოგი

არ არის მოწვევა თავის მოძღვარზე უმეტესი, მაგრამ, თუ სრულიქმნა, სუყოველი ისეთი იქნება, როგორც თავისი მასწავლებელია.

სახარება ლუკასი: 6:40

სოფლის აღმოსავლეთით, ზღვის პირას მრავალზარინი უზარმაზარი ტაძარი დგას, - ჩაილაპარაკა დედაქალმა.

ბიჭმა შეამჩნია, რომ ის უცხო დედა მემოსილი, თავზე მანდილი ეხვია, ვარშამანი. ბიჭი ადრე არც არასოდეს არ შეხვედროდა იმას.

- ხედავ? - განაგრძო დედაქალმა. - ახლავე წახვალ იქ და ყველას მოუყვები, რასაც მოიხილავ.

მდებრის სილამაზით მოხიბლული ბიჭი უმალ გაეჩქარა, სადაც წასვლა უთხრეს. დაჯდა ქვიშაზე, თვალი ცისკიდურს მიაპყრო, მაგრამ დანახვით იგივე დაინახა, რის ხილვასაც მიჩვეული იყო - ლურჯი ცა და ოკეანე.

გულგატეხილმა ბიჭმა გზა განაგრძო და ერთ მგობელ მეთევზეთა სოფლს მიაღდა, ხომ ვერ მიმასწავლით იმ ჭალაკს, სადაც მრავალზარინი ტაძარი დგასო, ჰკითხა იქაურ ხალხს.

- რაღა დროს ეგ პაპიჩემის პაპის დროინდელი ტაძარია, - უთხრა ერთმა მიმსკოვებულმა მეთევზემ. - მანდ ისეთი დიდი მიწისძვრა მოხდა, ის ქალაქი სულ ჩაიძირა, უფსკრულმა უყო პირი, მაგრამ, მართალია, თვალით ვედარა ვხედავთ, ოღონდ სმენით მაინც გვესმის წყლის სიღრმიდან იმისი ზარების რეკვის ხმა.

და ბიჭი ისევ ნაპირზე დაბრუნდა, ყური გაიფაცისა, ეგების როგორმე მეც გავიგონო ჩაძირული ზარების ხმაო. მიმწახრამდე ფეხი არ მოუყვლია ზღვის ნაპირიდან, მაგრამ ოდენ ტალღების ფრთონა და თოლიების ყვილი ეყურებოდა.

ვარგა რომ დაღამდა, გახშირებულ ბინდში მშობლები დაადგნენ თავს და შინ წაიყვანეს. დილით ის უკვე ისევ ნაპირზე იქდა, რადგან ვერა და ვერ დაეჭვრებინა, რომ აგრერიგად თვალმწყაზარი დედაქალი გააცნოებდა.

თუკი ოდესმე ისევ შეხვდებოდა ერთმანეთს, ბიჭი ალაღად ეტყვის, ჭალაკი არ მინახავს, მაგრამ სამაგიეროდ კანთიულად გავიგონე წყალქვეშა დინებათაგან შეტოვებული ზარების რეკვის ხმაო.

აგრე გამოხდა აზარითი თვე; ის მზეთუნახავი აღარ გამოჩენილა და ბიჭსაც გულიდან გადავარდა იმისი სახე; ახლა მან დაბეჭითებით იწუნა, რომ უსიკვდილოდ უნ-

და მოეძებინა ჩაძირული ტაძრის განძი. ზარების რეკვის ხმით განსაზღვრავდა, სად უნდა ეძებნა და აუცილებლად მიაგნებდა წყალქვეშ გადამალულ განძეულს.

მან გული აპყარა სკოლასაც და იმათაც, ვისაც ადრე ემეგობრებოდა. მალე თავისი კბილა ბიჭების დასაცინი გახდა. ეგ ჩვენისთანა აღარ არისო, ამბობდნენ, იმის მაგიერად, რომ ჩვენთან ერთად ითამაშოს, ეგ საათობით დგას და ზღვას ვასცქერისო.

და ზღვის პირას მოკალათებულს კბილქვეშ კილავენ და საქოლავს უგებდნენ.

ბიჭმა, მართალია, ვერა და ვერ გაიგონა ზარების რეკვის ხმა, მაგრამ სხვა რაღაც-რაღაცებს მიაჩვია ყური და თავისებურად გაიჩაფა კიდევ. უკვე აღარც ტალღების ფრთონა ეუცხოებოდა, აღარც თოლიების ყვილი, ფურცლების ზუზუნი და აღარც პალმების რტომშვენიერ ვარჯოვანში ქარის ხმაური.

მზეთუნახავ დედაქალთან შეხვედრიდან ექვსი თვე გამობდა, და ბიჭი უკვე ყველა ხმაურს ხმატკბილებდა, მაგრამ ჩაძირული ტაძრის ზარების რეკვის ხმა ერთხელ წამლადაც არ შესტყობინებია იმის ყურს!

არადა მეთევზეები ჯიუტად უმეორებდნენ: „ჩვენ გავიგონეთო!“

ბიჭს კი არა და არ ეყურებოდა.

კიდევ ცოტა ხნის მერე მეთევზეებმა სხვარიგად ჩამოუგდეს სიტყვა: მერე, შენა ემანდ ზღვის დასვინაღრემა, მოსინჯვა არ დაიწყო იმ ზარების ხმის ვასაგონად; იგულმაევიწყე, ჩადი ტოლ-სწოროთ დაუბრუნდი, ძველებურად შეიქციე თავი. ეტყობა, მართო მეთევზეებს გვესმის იმ ზარების გუგუნო“.

ბოლო როს უკვე თითქმის წელიწადი ჩამომარცვლა, ბიჭი ფიქრს მიეცა: „იქნებ ესენი მართლებიც არიან. გავიზრდები, მეთევზე გავხდები და ყოველ დილით აქ ფეხის დამდგმელი აღარავარ, რადგან აღარ მეპიტნავება ეს ნაპირი“. და ახლა სხვა ფიქრი წამოიქცა: „ჩანს, ეს ყველაფერი ანდრებია, და თუ ანდრები არ არის, მაშინ, ეტყობა, მიწისძვრამ დაღუწა ის ზარები და არც აღარასოდეს არ დაირისხვებინა“.

იმ დღეს მან შინ დაბრუნება გადაწყვიტა. და სანამ წავიდოდა, ზედ ნაპირთან მისვლა მოესურვილა, რათა ოკეანეს დამშვიდობებოდა. კიდევ ერთხელ მიმოავლო თვალი მთელ იმ არემარეს და რადგან ზარების რეკვის ხმის გავიგონების იმედი გადასწურვოდა, დიმილმონეულმა მიუგდო ყური თოლიების ყვილის, ტალღების თრთონას, პალმების რტომშვენიერ ვარჯოვანში მოფართუენე ზღვაურს. შორით ტოლ-სწოროთა ურიამული შემოესმა, და გული გაუხალისდა, რომ მალე თავის კბილა ყმაწვილებთან აღმოჩნდებოდა.

გულგახალისებულს სამზეომი ყოფნის სიხარული და მადლიერების გრძნობა დაუფლებოდა, რაც მხოლოდ ყმაწვილთათვის არის საცნაური. ის დარწმუნებული იყო, რომ დრო ფუჭად არ დაუკარგავს, რადგან ბუნების ჭკრეტა და პატივისცემა ისწავლა. და სწორედ იმითმ რომ იმისთვის მკაფიოდ მისაწვდომი გახდა, გამკაფიოვდა ტალღების ფრთონა, თოლიების ყვილი, ფოთლების შარბური და შორად მოხტუნავე ტოლ-სწოროთა ურიამული, ბიჭს უცაბედად შემოესმა ზარის პირ-

ველი ჩამოკვრის ხმა. პირველს მერე ზარის შეხმინა. მერე კიდევ გაისმა რეკვის ხმა, მერე კიდევ და ჩაძირული ტაძრის სუყოველი ზარი ერთად აგუგუნდა პატარა ბიჭის სულში ერთ დიდ ლხინად.

* * *

მრავალი წლის შემდეგ, უკვე ვარგა მოწიფული ბიჭი თავისი მეთევზის ზღვისპირა სოფელს დაუბრუნდა. ოდესღაც ჩაძირული განძეულის მოძებნაზე ფიქრი გულიდან საბოლოოდ გადავარდნოდა: ვინ იცის, იქნებ ეს ყოველივე მხოლოდ იმის წარმოდგენაში არსებობდა დიდი ხნის წინათ და სულაც არ ყოფილა მავშური მესხინერების სიღრმეში ის ჩაკარგული საღამო, ოდეს ტაძრის ზარების რეკვის ხმა შემოესმა. მაგრამ მაინც მოუნდა ზღვისპირას ვაგლა, ქარის ხმაურისა და თოლიების ყვილის გავიგონება. და ეგრევე სახტად დარჩა, ეტობა, როს ქვიშაში მუღომარე კვლავ ის დედაქალი მოიხილა, ვინც ჭალაკის ტაძარზე უამბო.

- იქ რას აკეთებ?- ჰკითხა ბიჭმა.

- შენ გელოდები. - უთხრა ქალმა.

თუმცა მრავალი წელიწადი იყო ჩამომარცვლული, მაგრამ დედაქალი ზუსტად ისევე გამოიყურებოდა, როგორც რომ იმათი პირველი შეხვედრის უამს, და არც თავზე მოხვეული ვარშამანი-მანდილი ვასცრეცოდა და ვაპხუნებოდა.

დედაქალმა ყმაწვილკაცს ლურჯყდიანი სუფთა რვეული გაუწოდა.

- დაწერე: „ნათლის მხედარი გულისყურით ჩასცქერის ბავშვის თვალებს, რამეთუ ისინი ქვეყნიერებას სიმწარემოკლებულს ხედავენ. ოდეს ნათლის მხედარს იმის გავება სწადს, ნდობის ღირსია თუ არა ჩემ გვერდით მდგომი კაციო, ის ბავშვის თვალეებით ცდილობს იმ კაცის დანახვას“.


- ეგ, „ნათლის მხედარი“ ვილა?

- განა არ მოგეხსენება, - გაღიმებულმა მიუგო დედაქალმა. - ვილა და ვისაც იმის თავი და უნარი აქვს, რომ ჩასწვდეს ცხოვრების სასწაულს, ბოლომდე იზრძოლოს იმისთვის, რაცა სწამს და სჯერა, და მიწყვიტე ყურებოდას იმ ზარის რეკვა, ზღვის უფსკრულიდან რომ მოისმის.

ამ უკვე დაყმაწვილკაცებულ ბიჭს არცროდის არ მიანდა თავისი თავი ნათლის მხედრად. დედაქალმა კი ჩანს, აზრი შეუტყო და უთხრა: „ეს სუყველას ხელეწიფება, მართალია, თავისი თავი არცვის არ ენათლისმხედრება, მაგრამ შეძლებით სუყოველს ძალუძს ნათლის მხედრად გახდომა“.

ყმაწვილკაცმა თვალი გადაავლო რვეულის ფურცლებს. დედაქალმა კვლავ გაიღმა.

- წერე ნათლის მხედარზე, - წერე, - თქვა მან.



წიგნი ნათლის მხედრისა

1

6

ათლის რაინდს ახსოვს სიკეთე.
 ბრძოლაში მხანს აძლევენ ანგელოზები; ციურნი ძალნი ყველაფერს თავის ადგილს უჩვენენ და ნათლის რაინდს საკუთარი თავის საუკეთესოდ გამოვლინების ყოველგვარ საშუალებას უქმნიან.
 „იღბალი მაგან უნდა დაიბრახოს!“ – ამბობენ ამხანაგნი. მხედარს კი ხანისად ისეთი რამ ხელებუთილება, ყველანაირ კაცობრივ ძალას რომ აღემატება.
 და ამიტომ, მზის ამოხდომის უამს, იგი მუხლს იყრის და მადლსა სწირავს თავის მფარველ მადლიან საფარველს. ოღონდ მადლიერება მხედრისა, მართო სულიერი არეთი არ შემოიფარგლებს; ის არცროდის არ ივიწყებს თავის აიარ-მეგობართ, ვისთანაც ერთად უღვრია სისხლი ბრძოლის ველზე.
 მხედარს არცაღა სხვათაგან შეწვევის შეხმინება ეუცვილებოდა; იმას მუდამ თავად ახსოვს ვინ რით, ვინ როდის შესწევია და თუ რამ ჯალდო ერგო, ყველასთან ერთად იყოფს.

2.

ყ

ველა გზას ამყენებდა მხედრის გულისკენ მიყვანათ; ის ვგრევე, უყოყმანოდ გადაეშვება ხოლომე იმ ვნებათა ქაფად გამსკდარ ჩქერში, რომელი ვნებებითავე ნიადავ საესეა იმისი ცხოვრება.
 მხედარმა იცის, რომ თავისი ნება, რა ძვინსანუკვარსაც აირჩევს; ყველაფერს გაბედულად და წინდაუხედავად წყვეტს; ხანისად კი სულაც ალალომდებზე.
 ის თავს არ არიდებს არცრა თავის ვნებას და ავი ყოველი ვნების ნაყოფსაც იშვის, იცის, რომ არ უნდა დაეუაროს გამარჯვებათაგან ნაბოძებ აღმაფრენას; ყოველი გამარჯვება ცხოვრების ნაწილია, და უკლებლივ თითოეული სულს უმხიარულებს მძლევებს.
 მაგრამ მხედარი არცროდის თვალსაწიერიდან არ კარგავს იმას, რაც სამუდამოდ იქმნება, ახსოვს, რაოდენ მტკიცე და ქვირდემლია, მყარია ეს გამბული კავშირი და რაოდენ უძლიერესია დროუბამი ამ კავშირის მიმართ.
 მხედარს ძალუქს წარმავლის განსხვავება საბოლოოსგან.

3

6

ათლის მხედარი არა მართო საკუთარი ძალ-ღონის იმედად არის, არამედ მოწინააღმდეგის ენერჯიასაც იყენებს.
 ის მტერს ებმის შეიარაღებული ოდენ აღფრთოვანებით, ზედაფრენით, შეტევისა და მოგერიების ხელოვნებით, ანუ ბრძოლის ყველა იმ ილეთითა თუ ხერხით, რასაც კარგა ხანს სწავლობდა. მაგრამ მერე ხედება, რომ არც ზედაფრენა, არც ჩვევა არ არის საკმარისი გამარჯვებისთვის – საჭიროა კიდევ გამოცდილება.
 და მაშინ ის ვგრევე გულს გადაუშლის ხოლომე ცამყარს და შესთხოვს, რა არი ღმერთმა შეასმინოს და შთაავონოს ის ამბავი, რომ მოწინააღმდეგის სუყოველი დარტყმა იმისთვის ახალ გაკვეთილად უნდა იქცეს თავდაცვის მეცნიერებაში.
 „ეგ მრმადმორწმუნეობას აყოლილი ვაცია, – ავონებენ აქეთ-იქიდან. – ხან ბრძოლას წყვეტს და ლოცულობს, მტერს საქმეს უიოლებს.“
 მხედარი ყურთ არ ატყობინებს ამ ავ ქილიკს, რამეთუ იცის – თუ მეომარს აღფრთოვანების უნარი და გამოცდილება არა აქვს, ყველანაირი სწავლება სულ ფუჭია.

4

6

ათლის მხედარი არცროდის არ იმზავრებს და იფრავრებს, მაგრამ შეუძლია მოწინააღმდეგისთვის თავების ამწევა და მდარნი ნაბიჯის გადადგმევისება.

რაც არ უნდა უღელვებდეს სულს გამარჯვების წყურვილი, სასურველი მიზნის მისაღწევად არცრა სამხედრო თამაშს არ თაკილობს, და ამასობაში ხდება სტრატეგია. უკეთუ გრძნობს, რომ ნიათი ელევა, მოწინააღმდეგეს თავისი სატყეილი აფიქრებინებს, ვითომ არსადაც არ მიეჩქარება. როს მარჯვენა ფლანგზე აპირებს შეტევას, თავისი ლაშქარი მარცხენაზე გადაჰყავს.
 როცა ბრძოლაში დაუყოვნებლივ ჩასაბმელად ემზადება, თავს ისე იჭერს, ვითომც თვლებმა მოერია და საძილედ სწყდება კინჩი.
 „შეხედეთ ერთი, რარივ ჩაუცხრა საბრძოლო სულისკვეთება“, – ავონებენ მეგობრები. თუმცაღა იმათ შენიშვნებს ყურს იქით იცილებს, რამეთუ მეგობართაც კი არ შეუძლიათ ყველა იმ ემზაკობისა და ფანდის მიხედვრა, რომელთაც ნათლის მხედარი ბრძოლის ორომტრიალში იყენებს.
 მან იცის, რაც უნდა. და სულაც არ ეჭირვება არცრა თავისი გეგმის ვინმესთვის ახსნა-განმარტება.

5

ათის უმნობს ნათლის მხედრის სტრატეგიაზე ერთი ჩინელი მწიგნავი:

„არწმუნებინე შენს მტერს, რომ შენზე თავდასხმით მეგრს ვერაფერს ვერ მიაღწევს, და ამ გზით საბრძოლო სიფიცხეს შეუსუსტებ.“
 უკეთუ მიხვდი, რომ უპირატესობა მტრის მხარეზეა, იმისთვის ბრძოლის ველის დათმობას სირცხვილად ნუ მიიჩნევ, რამეთუ მნიშვნელოვანია არა ცალკეული ბრძოლის შედეგი, არამედ ომის დაბოლოება.
 თუკი საკმარისი ძალა გაქვს, უკუაგდე თვალთმაქცური სირცხვილი და თავი მოიჩალოფატუნე: ეს მტერს სიფრთხილეს დააკარგვინებს და ხელსაყრელ, მარჯვენა დროს აღარ დაელოდება, ისე დაგესხმის თავს.
 აგრერივად უეცრად, ულუმელად მტრის მოლორება ომში გამარჯვების საწინდარია.

6

უცნაურია, – ემსჯელება თავის თავს ნათლის მხედარი

ცხოვრებაში უამრავი ადამიანი შემხვედრია, რომელთაც პირველი შემთხვევისთანავე თავიანთი თავის ყოველის უფრო ცუდის მხრივ წარმოჩენა უცდიათ. საბრძოლო უინში ისინი შინაგან ძალას მალავენ; მართლობის შიშს დაპოუვიდებლობის ნიღამქვემ ალხობენ. არცვის იმათგან საკუთარი შესაძლებლობისა არა სჯერა, მაგრამ ყოველ კუთხე-კუნჭულში თავიანთ სათნოებასა და ღირსებაზე გაჰყვირიან.
 მხედარი სუყოველ ამ თვისებას ხედავს მეგრ მამრსა და მღედრში, ვისაც კი იცნობს, და არა ტყუედება, პირველ შთაბეჭდილებას არ ენდობა. ხოლო თუ სურს, რომ განაცვიფროს და დააგულისყუროს, ჯიუტად მდუმარებს. მაგრამ ყოველ მარჯვე შემთხვევას იმისთვის იყენებს, რომ თავისი ნაკლოვანებები გამოასწოროს, რამეთუ როგორც რომ ვინმე სარკეში, ისე ხედავს თავის თავს.
 ის მუდამ მზად არის, მუდამ გაფაციცებულია, ემანდ რამე ახლის სწავლა არ გამოიმპაროს.



7

ათლის მხედარი ხანისად იმათ ეწინააღმდეგება, ვინც უყვარს.

თავის მეგობართა დამცველს ვერცროდის ცხოვრების ქარიშხალი ვერ შეაკრთობს, ის ყოველთვის იპოვის თავის თავში ძალას, რათა ყოველგვარი სიმძნელე გადალახოს და იაროს წინ.
 თუმცა ისიც ხშირად ხდება, რომ ვისაც საბრძოლო ხელოვნებას ასწავლის, ისინი ამაგს თავისებურად უფასებენ – პირველნი იწვევენ ორომბრძოლაში.
 მაშინ ნათლის მხედარი მთელ თავის უნარს ავლენს და გავირთამამეულ მოწაფეს ერთი-ორი დაკვრით ხელიდან ავდებინებს იარაღს, და მახვილი როგორც კი მიწაზე იცემა, იმათი შეხვედრის ადგილას კვლავ შეხმატკობილება მჭიდვდება.
 „ხომ იცი, რომ ათი თავით მეტი ხარ, რატომ ექცევი

შენს მოწაფეებს ეგრე?“ – ეკითხება ამ ამბის შემსწრე მაგანი მგზავნი.

„ორომბრძოლაში რომ მიწვევენ, ეს სინამდვილეში იმას ნიშნავს, რომ იმათ ჩემთან ლაპარაკი სურთ და მეც ამგვარად ვებაახებ“, – მიუგვებს ნათლის მხედარი.

8

სანამ ბრძოლაში ჩაებმებოდეს, რომლის დამოლოებაზეც მეგრნი რამ არის დამოკიდებული, ნათლის მხედარი თავის თავს ეკითხება: „რამდენად შეეძელი ჩემში სიმკვირცხლისა და მოხერხებულობის განვითარება?“
 რამეთუ იცის, რომ ყოველმა იმისმა წინა ბრძოლაში რაღაც-რაღაცეები ასწავლა. და ამასთანავე ამ ძველ გაკვეთილებს იმაზე მეტად დაუტანჯავთ, ვიდრე საჭირო ყოფილა, არაერთხელ მომხდარა, რომ სიჭრუისთვის ბრძოლაში ტყეილუმრალოდ დაუკარგავს დრო. მეგრტერ დატანჯულა იმათი გულისთვის, ვინც იმისი სიყვარულის ღირსი არ გამოდგარა.

გამარჯვებულნი ძველ შეცდომებს აღარ იმეორებენ. და ამიტომ არის, რომ ნათლის მხედარი მხოლოდ იმის გულისთვის ეწევა რისკს, რაც რისკის გაწევის ღირსია.

9

ათლის მხედარი პატივს მიაგებს 0 ძინის ძირითად დებულებას: „შეუპოვრობა სასარგებლო რამ არის.“

მან იცის, რომ სიჭრეტეს არცრა საერთო არა აქვს რა შეუპოვრობასთან. რამეთუ ხანდახან, როცა იმაზე მეტხანს გრძელდება, ვიდრე ეს საჭიროა, ბრძოლა ფიტავს ძალებს და აცხრობს მხნეობას.
 და ასეთ დროს ნათლის მხედარს აზრი უჩნდება: „გაჭიანურებული ომი ბოლოს და ბოლოს ანადგურებს თვით გამარჯვებულს.“
 ამ აზრის გაჩენისთანავე იმას ბრძოლის ველიდან გაჰყავს თავისი ლაშქარი და თავდაცვ სულს ითქვამს. ის შეუპოვრობა თავისი ნების ხორცის შესხმაში... თანაც არ ემღეობა ხელსაყრელი მომენტის შერჩევა და ახალი შეტევის დაწყება.
 ის არცროდის ბრძოლას არ გაურბის, ისევე და ისევე გადაეშვება ხოლომე შუაგულ ორომტრიალში, ოღონდ არა იმიტომ, რომ ჯიუტია, არა, ვგრევე ამჩნევს დროის ცვლას.

10

ათლის მხედარმა იცის, რომ ზოვიერთ წუთს განმეორების თვისება აქვს, იცის, რომ არა ერთი და ორია ასეთი წუთი.

ის ხშირად აწყდება ათასგვარ სიძნელეს, რომელთაც ოდესღაც უკვე სძლია, ხანაც ისეთ რთულ ვითარებაში ხედება, რომელსაც ერთხელ უკვე ღირსეულად დააღწია თავი, და ეს ამბავი სულს უფორიაქებს: რახან ყველაფერი მეორედება, ფიქრობს, მამასადამე, ერთ აღვილს ვტკეპნი და წინ ვერ წავსუღვარო.
 „აქ ერთხელ ხომ უკვე გამოვიარე“, – ესაყვედურება თავის გულს.
 „გამოიარე, – ეპასუხება გული. – მაგრამ ვერ გაიარე.“
 და მხედარი ხედება, რომ მელი ერთადერთი მიზნით ამეორებინებს საყადისს – ის იმას ასწავლის და ათვისებინებს, რის სწავლა და ათვისებაც მან ერთბაშად არ ინდობა.

11

ათლის მხედარი ნიადვ საყოველთაოდ მიღებული წესების საწინააღმდეგოდ იქცევა.

იმისგან არ უნდა გაიკვიროდეს, თუ სამსახურში მიმავალი გზაზე ცეკვას დაიწყებს, თუ სულ უცნობს ვგრევე თვალეში ჩახედავს, თუ პირველი დანახვისთანავე ვისმე სიყვარულს გაუმღღავენს, თუ აშკარად უაზრო თვალსაზრისის დასაცავად თავს გამოიღვას. როცა უნდა და საცა უნდა, თავისებურად აუშვებს აფრას.
 ძველი სიმწრის და მწუხარების წამოგონებისას არც ტირილს ერიდება და არც გულიანად მოლხენას რამე კარგი ამბის მოლოდინის წინადადეს. თუ გრძნობს, რომ სანუკვარი საქმის უამი დადგა, ყველაფერს მიატოვებს და იმ საქმეს მიხედავს, ხელს არ დააკლებს, რისკზეც წავა. თუ ხედება, რომ წინააღმდეგობის გაწევის უნარს ნელ-ნელა კარგავს, ბრძოლიდან გამოდის და სულაც არ იღანაშუალებს თავს ერთი ან ორი მოულოდნელად ჩადენილი უეცუნრებისთვის.
 არცროდის ის არ ესწრაფვის იმ როლის შესრულებას, რომელიც სხვათ დააკისრეს.

(გაბრძკილება იძინება)



თეატრის ფარდის წინ გამოსული „მისეული მსახიობი“ დიდი გატაცებით, მკაფიოდ, დამაჯერებლად და არტისტულად წარმოთქვამს მონოლოგს. მის სიტყვებში აშკარა გულწრფელობა და შინაგანი ემოციაა გამოსატყუარი. აზრიც ღრმა შინაარსის მატარებელია, რამეთუ მთელი მისი განვლილი ცხოვრების სისხლბორცველად, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ხელში ძველებური ლამაზი უკავია. მიუხედავად უმაღლესი სამსახიობო ოსტატობისა და პროფესიონალიზმისა ბარიტონალურ ხმაში ბზარი გასჩენია. ემოციებისაგან სხეული მთლად უკანკალებს. მის უსაზღვრო შინაგან ტემპერამენტს, მღელვარებას და განწყობას, სახეზე მსუბუქად გაკეთებული გრიმი ფარავს. ჩაცმულობა არც თეატრალურ-საციკრო და არც ძველმოდურ-პიჟონური აქვს, რაღაც საინტერესოდ და ორიგინალურად მოფიქრებული. მოხუცი მსახიობი — ვასო გომიაშვილი, მისთვის ძვირფას და ახლოველ თეატრს შევალადებს. მისმა მთელმა ცხოვრებამ სომ აქ, ამ სცენაზე გაიარა, რსობის კედლები საკუთარი სახლის, საკუთარი კერის კედლებს აგონებს. აქ მისი მშობლიური საგანია. ვერ წარმოუდგენია თავისი არსებობა სცენის გარეშე. და აი, ფარდის წინ ძველმა მსახიობმა თავისი მცირე მონოლოგი ასეთი სიტყვებით დაასრულა: „ჩემო კედლებო, ისევ მიყვარხართ, როგორც მიყვარდით მაშინ“.

ამის შემდეგ იქვე სრულიად ახალ ამბულანსში მოგვევლინა დიდი მსახიობი, რათა ვოდევით „ოინზაზში“ ახალგაზრდა ტიგრან ჰოპოპიანის როლი შეასრულოს. ჰოპოპიანის როლი, რომელიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი დიდის ვაი-ვაგლასით ეძებს გამოსავალს. სად გაქრა მოხუცი მსახიობის მონყენილი, დაღლილი, ბებრული მიხვრა-მოხვრა? ახლა უკვე იგი მსუბუქად, თავისუფლად, ლაღად და ელასტიურად მოძრაობს. ერთი ვოდევილი მთავრდება, ამის შემდეგ ძველი მსახიობი ისევ გამოდის ავანსცენაზე და მომდევნო ვოდევლის დაწყებას გვამცნობს, შესანიშნავად ასრულებს არშაკას როლს „ძველ სასამართლოში“. და... კვლავ განუმეორებელი სცენური გამომსახველობა, ნიჭიერად მოფიქრებული თეატრალური ხერხები, მეთოდები და საშუალებები.

მისმა სცენურმა თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა, ყოველი სიტყვა და შინაგანი განცდა მსმენელამდე დამაჯერებლად აღწევდა და მაყურებელს შესრულებული როლის თანაზიარად ხდიდა. გომიაშვილის მიერ გათამაშებული დიალოგები უნიკალურ სატირულ ნიმუშს წარმოადგენდნენ. მის მიერ განსახიერებულ გმირებს ახასიათებდა არა მარტო შესრულების ზომიერება, არამედ ინტონაციის სიმძაფრეც. ამას ემატებოდა გასაოცარი იმპროვიზაციის უნარი. წარმოთქმული უბრალო ფრაზაც კი რაღაც განუმეორებელ ფექტს ახდენდა. პროფესიონალურად და შთამბეჭდავად ნაჩვენები იუმორისტული მიდგომებით, მან ძველი თბილისის ტიპური სახეები შექმნა, რითაც მსახიობმა იმდროინდელი ეპოქა გააცოცხლა, მაყურებელმა კი უმაღლესი თეატრალური გემოვნებით შესრულებული შედეგები მიიღო. ხანგრძლივი ოვაცია ფარავს ირგვლივ ყველაფერს. ფეხზე ამდგარი მაყურებელი მქუხარე ტაშით ეგებება, რითაც გულწრფელ მადლიერებას, აღიარებას და პატივისცემას გამოხატავს დიდი მსახიობის მიმართ. ოვაცია დიდხანს გრძელდება. განცდებისა და ემოციებისგან დაღლილი, მაგრამ შინაგანად დამუხტული და კმაყოფილი ვასო მადლობას უხდის მაყურებელს. თეატრის ფარდა ეშვება. მისივე რეჟისორობით შესრულებული სპექტაკლი დასრულდა.

* * *

ვასო გომიაშვილი 1905 წლის 14 ნოემბერს დაიბადა, სალნაის რაიონის სოფელ ვაქირში დავით ყარამანის ძე გომიაშვილის ოჯახში, ვასო დავითის მეთექვსმეტე შვილი იყო. მალე გომიაშვილების ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ქალაქის ძველ უბანში, ანისსატის ეკლესიასთან ახლოს ნაჭირავებ ბინაში დასახლდა. ვასოს მამა სირაჯობას მისდევდა და ამით ძლივს არჩენდა მრავალსულიან ოჯახს.

ვასო გაჭირვებულ ყოფით პირობებში იზრდებოდა, უნაკლო სმენისა და კარგი ხმის მქონე, ჯერ კიდევ პატარა, იგი სიონის ტაძარში კოტე ჩარკვიანის მგალობელთა გუნდში ჩარიცხეს. სულ ცოტა ხანში ვასო ქართული მღვდელმთავრის კირიონ კათალიკოსის ხელთმასხური გახდა.

ცნობილი საზოგადო მოღვაწეების — ზაქარია ჭიჭინაძესა და ივანე როსტომაშვილთან ურთიერთნაცნობობამ სრულიად ახალ-

გაზრდა ვასოში წიგნისა და ყურნალ-გაზეთებისადმი დიდი ინტერესი გამოიწვია. წიგნისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა იგი თბილისელ ბუკინისტებთან დააახლოვა.

სწავლის გაგრძელება იყო საჭირო, მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახისთვის ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, ვასო შიკრიკად იწყებს მუშაობას. ორი გროშისათვის იგი იძულებული იყო, მთელი დღე სულმოუთქმენლად ერიზინა ქალაქის სხვადასხვა უბანში. გაუთავებელმა გაჭირვებამ, ლუკმა-პურის ძიებამ, დამლულმა ფიზიკურმა შრომამ მანც ვერ გატეხეს გულმხიარული, ენერგიული, ენამოსწრებული და მომხიბლავი ახალგაზრდის ნებისყოფა.

ერთ დღეს მეზობლის ბიჭუნამ ოპერის თეატრში წასვლა შესთავაზა. თეატრში მისულ პატარა ვასოზე იქაურმა მისთვის უცნაურმა სიტუაციამ გამოიგნებლად იმოქმედა. მან მეზობლის ბიჭის ნაბაძვით ტანსაცმელი გაიხადა და ვიღაც ქალაქი ქალბატონის მიერ მიცემული თეთრ ტანსაცმელში გამოეწყო. ვასოს ქალბატონისგან დამზადებული თეთრი ვარდი თმებში ჩაუმაგრეს, ხელში თეთრი

ნაველებელგამოვლილი ვასო გიმნაზიის მეორე კურსზე ჩარიცხეს. გიმნაზიაში სწავლისას მან პირველად ნახა „ოტელი“, სადაც მთავარ როლს სახელგანთქმული ალექსანდრე იმედაშვილი ასრულებდა, რომელმაც შემდგომ უდიდესი გავლენა მოახდინა ვასოს მსოფლმხედველობაზე და ფაქტიურად განსაზღვრა მისი თეატრალური მომავალი.

ვასო გომიაშვილი ერთხანს პირველ ქართულ ლეგიონში მსახურობდა, მაგრამ თეატრისადმი ლტოლვა არ ასვენებდა, გული იქითკენ მიუწევდა. თეატრზე უზომოდ შეყვარებული, წითელ ფარაჯაში გამოწყობილი ვასო 1922 წელს აკაკი ფაღვალაძის თეატრალურ სტუდიაში გამოჩნდა მისაღებ გამოცდებზე. აქ მან მთელი გატაცებით წაიკითხა იოსებ გრიშავილის ლექსი „ახალი ღმერთი“. მისმა გაბრწყინებულმა თვალებმა, უღერადმა და ხავერდოვანმა ხმამ კომისიის დიდი მოწონება დაიმსახურა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ, რეჟისორები: კოტე მარჯანიშვილი და სანდრო აბმეტელი; მსახიობი — ალ. იმედაშვილი; აკადემიკოსები — ივანე ჯავახიშვილი და დიმიტრი უზნაძე; გამოჩენილი ქართველი იურისტი, პროფესორი ლ. ანდრონიკაშ-

სცენის ფაქტობრივი

14 ნოემბერი ვასო გომიაშვილის დაბადების დღია...

ვარდებით სავსე კალათა მისცეს და როგორც კი დრო მოვიდა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები სცენაზე გამოიყვანეს. ისინი ნეფე-დედოფალს წინ მიუძღოდნენ და გზაზე თეთრ ვარდებს უფენდნენ. ვასოს ზღაპარში ეგონა თავი, იგი მოჯადოებული უსმენდა ორ დიდ ქართველ მომღერალს, აბესალომისა და მურმანის ბრწყინვალე შემსრულებლებს — ვანო სარაჯიშვილსა და სანდრო ინაშვილს.

აქედან მოყოლებული გომიაშვილების მეზობლებს მოსვენება დაეკარგათ. დილიდან საღამომდე ვასოს წკრილა სიმღერა ისმოდა. ჯერ კიდევ 12 წლის ბიჭუნა მოხეტიალე თეატრში მოხვდა, ეზო-ეზო დადიოდა და ძველი თბილისის სიმღერებს მღეროდა.

პატარა ვასო, როგორც ოპერაში, ცირკშიც პირველად შემთხვევით აღმოჩნდა, ტკაჩოვის მიერ ჩამოყალიბებულ ბალაგანის



ცირკში იგი სატირულ-იუმორისტულ კუმ-ლეტებს მღეროდა, რითაც მაყურებელზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. მისი ბიოგრაფიიდან ამის გასახსნელად საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან მომავალში სერიოზულ თეატრში მისულმა კი არ დაკარგა სიმღერისა და სიცოცხლისადმი ინტერესი, არამედ ყოველმხრივ განავითარა, სრულყო და თეატრალური ხელოვნების უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა. მისი ულამაზესი ხავერდოვანი ბარიტონი ყველანაირად ეხმარებოდა სრულად გაეხსნა მისი თეატრალური გმირების მდიდარი შინაგანი სამყარო, შეექმნა უამრავი გამოჩენილი როლის ბრწყინვალე სახე. როგორც ერთკლასიანი სამოქალაქო სას-

ვილი; ცნობილი მხატვრები — ალ. შარლემანი, ვ. სიდამონ-ერისთავი და სხვები. გამოცდის შემდეგ ვასოს შესახებ ალექსანდრე იმედაშვილი შაქრო გომელაურს წერდა: „ჩემო შაქრო! გაინტერესებს რა არის თბილისში ახალი? არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ ფაღვალაძის სტუდიაში ვიყავი, გამოცდას დავესწარი, უნდა გითხრა, რომ საიდნაღაც გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა, რომელიც ჩემის აზრით, ქართული თეატრის მომავალი ვარსკვლავია“. ვასო დაუყოვნებლივ ჩარიცხეს სტუდიაში.

სტუდიელი ვასო გომიაშვილი თავიდანვე მოექცა ქართული სცენის რეჟორმატორის კოტე მარჯანიშვილის ყურადღების ქვეშ. ხარბად იწოდებოდა ყველაფერ იმას, რასაც დიდი რეჟისორი გადასცემდა.

ორი წელი დაჰყო ვასომ თეატრალურ სტუდიაში. ამის შემდეგ იგი რუსთაველის



სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩარიცხეს. აი, სწორედ აქედან იწყება მისი ნამდვილი შემოქმედებითი საქმიანობა. ამ თეატრში მსახიობად ყოფნის ექვსი წლის განმავლობაში ვასომ დიდი წარმატებით შესრულა არა ერთი მთავარი როლი, რომლის სათავეშიც ბრწყინვალე შემოქმედი და რეჟისორი სანდრო აბმეტელი იდგა. უკვე 1930 წლიდან თავისი არტისტიკური მოღვაწეობის ბოლო პერიოდამდე იგი მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობია. განა ყველას შეუძლია წარმოადგინოს ეშმაკი, მოუსვენარი ფიგარო და დენჯი ამაყი და ბრძენი მეფე ერეკლე, ფიცხი პროტესტანტი დონ სეზარ-დე-ბაზანი და გულგრილი დიაკვანი ვლას ტონჯიხი, თალ-

ლთი ხლესტაკოვი და დესპოტური და მედიდური ნაპოლეონი, ინგლისის ურთულესი ისტორიის მეფე რიჩარდი და კოლმეურნეობის ფერმის გამგე ზურია ხარაჭელი, დეგრადირებული ლუარსაბი და პროფესორი გორნოსტაევი, ძველი თბილისის სახე ავეტიკა და დაუოკებელი ენერჯის მთიელი ახმა და უამრავი სხვა როლები.

თეატრში მან ასამდე დიდი თუ პატარა როლი განასახიერა, რაც სამსახიობო საქმიანობის რეკორდად შეიძლება ჩაითვალოს. ვინაიდან ვასო გომიაშვილის გმირები დიამეტრიულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რთულია იმის გარკვევა, ვინაა იგი: კომედიური ჟანრის მსახიობი, აშკარად გამოხატული ტრაგიკოსი, თუ ესტრადაზე ძველი თბილისის გამაცოცხლებელი აშული.

და მანც მიგვანია, რომ ვასოს ხანგძლივი თეატრალური შემოქმედების ზენიტი ლუარსაბ თათქარიძე, ერეკლე მეორე, რიჩარდ III და ძველი ვოდევილების გმირებია. მის მიერ შესრულებული ეს როლები ქართული თეატრის ოქროს ფონდშია შესული.

მისი პირველი ესტრადული გამოსვლები გასული საუკუნის ოციანი წლების დამლევს ემთხვევა. მის მიერვე დამონტაჟებულ „ძველი თბილისის ბოჰემის“ ტექსტს დიდი ენთუზიაზმით და გატაცებით კითხულობდა, რომელსაც ვასოს ხავერდოვანი ბარიტონალური ხმა უძღოდა. მისი მდიდარი არტისტიკული მონაცემები, სასცენო მეტყველება, მუსიკალურობა, პლასტიკურობა, ცეკვის ნიჭი და გარდასახვის გასაოცარი უნარი დიდი წარმატების საშუალებას იძლეოდა. მისი ყოველი გამოსვლა ანშლავით მიდიოდა. 1939 წელს მოსკოვში გამართულ ესტრადის მსახიობთა I საკავშირო კონკურსზე მას, არკადი რაიკინთან ერთად, ლაურეატის წოდება მიანიჭეს.

* * *

ჩემი ვასოსთან გაცნობა 1954 წელს მოხდა, როცა საკონცერტო ჯგუფთან ერთად სილნაის რაიონის სოფელ საქობოში მართავდა საღამოს. მაშინდელ სოფლის კლუბში ინსტრუმენტი არ არსებობდა. ვაქირში, ჩვენს ოჯახში რამდენიმე პიროვნება მოვიდა და მთხოვეს აკორდეონის მუსიკალური თანხლებით დაგზმარებოდი მსახიობს, ვასო ნაწყვეტებს ასრულებდა სპექტაკლებიდან, საკონცერტო ნიმუშში შეტანილი ჰქონდა აგრეთვე ძველი თბილისის ბოჰემური ლექსები, როგორცაა — „რად მიყვარხარ?“, „ბუმერაზი ვიყო, თუ ვიცოდე“ და სხვა. 15 წლის ბიჭუნამ არ ვიცოდი, რა უნდა დამეღერა. ვასო დიდი მონდომებით მისწინს, თან მილინებს, მე ვცდილობ, რომ მივბაძო და აკორდეონზე გადავიტანო მისი ნაძღვრი მელოდია. რაღაც მოვასწავლოთ და ბოლოს ყველაფერი საინტერესოდ გამოვიდა. კმაყოფილი, ვასოს მიერ შექმნილი და გახარებული დავებრუნდი სახლში. უკვე შემდგომში მის მიერ შესრულებული არა ერთი ულამაზესი და წარმატებული სპექტაკლის მნახველი და მომსწრე გახლდით. როდესაც გაოგნებული და ნერწყვამშრალი მივჩერებოდი მის ზღაპრულ თამაშს.

გამოკვეთილად, მაღალ შეფასებას იმსახურებს მისი როლები კინოფილმებში: „ქეთო და კოტე“ და „რაღაც გინახავს, ველარ ნახავ“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, კინოში სათანადოდ ვერ იქნა გამოყენებული მისი მაღალნიჭიერი სამსახიობო შესაძლებლობები.

ვასო გომიაშვილის პიროვნება ჭეშმარიტად ქართული თეატრალური ხელოვნების ცის ტანვარცხანადაა მოკავსაშე დიდი კორიფეების გვერდით დგას. მას მინიჭებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება, უამრავი ორდენი და მედალი.

ვინც თეატრს იცნობს, იცის, რა რთული და დაძაბული მსახიობის ცხოვრება, გამარჯვებით მოპოვებული სიხარული მის ადგიანებას, ადგენებას, შინაგან კმაყოფილებას, ხოლო წარუმატებლობა თავისი შესაძლებლობებისადმი უნდობლობა იწვევს და თრგუნავს მას. ხასიათის ასეთი ცვა დად დას ავამს მსახიობის ბუნებას, მის განწყობას. სამწუხაროდ, ასეთი ბევრი გვინახია. ვასო გომიაშვილი კი სულ შემართებული, მხნე, პეჭიანი და არგისგულად მომზირალი მახსოვს, თავისი გადამღები მახლისით, იუმორით, სიარულისა და დგომის სიხარულით, ვულწრფელობითა და დიდი თავაზიანობით.

გალა გომიაშვილი,

საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

ჩვენი სატვივარ-საფინანსო

გამყოფი ხაზის სოფლებს ზამთრის სეზონზე დაეხმარებინან

საქართველოში გამყოფი ხაზის მცხოვრებნი სახელმწიფოს დახმარებას ელოდებიან. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომაზე გადაწყდა, რომ ზამთრის სეზონზე კონფლიქტის ზონის მოსახლეობას დაეხმარონ. შესვენებაში კომისიის წევრებთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც ადგილზე არსებული პრობლემები გამოკვეთეს.

სხდომაზე განიხილეს სოფლებისთვის ზამთრის სეზონზე გათბობით უზრუნველყოფის ღონისძიებები და კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ სტუდენტთა უმაღლესი განათლების დაფინანსების საკითხები. კომისიის გადაწყვეტილებით, პროგრამა მომავალი წლიდან კვლავ გაგრძელდება. როგორც ცნობილია, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები თითქმის მთლიანად დასრულდა, მაგრამ მაღალი გადასახადის გამო მოსახლეობა ბუნებრივ აირს მინიმალურად იყენებს და ისევ შეშას იმარაგებს.

ბოლო დროს სოფელ კირბალში საქართველოს მოქალაქეების დაკავების შემთხვევების ზრდაც ამ ფაქტს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ კირბალში ბუნებრივი აირი შეყვანილია, ადგილობრივი მცხოვრებლები საკუთარი რისკის ფასად და ხშირად ღამობით მანქანაში მიმდებარე ტყეში შედიან, სადაც საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები პატრულირებენ.

ბენ. სწორედ ამ დროს ხდება მათი დაკავება. ახლა საოკუპაციო გამყოფი ხაზის სოფლების მცხოვრებლები სახელმწიფოსგან 200-200-ლარიან დახმარებას მიიღებენ, რაც ზამთრის სეზონზე გათბობისთვის უნდა გამოიყენონ. სოფელ ერგნეთში მცხოვრებთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვანი შედეგია, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ მძიმე სოციალური მდგომარეობის პირობებში ეს არასაკმარისი დახმარებაა. სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანანაზრობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტად რჩება საოკუპაციო გამყოფი ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამოსწორება. მისი თქმით, პროგრამა გაგრძელდება და ხელი-სუფულება ადგილზე არსებულ პრობლემებს ეტაპობრივად მოაგვარებს.

კონფლიქტის ზონის სოფლებში უკვე ელოდებიან სახელმწიფოს დახმარებას, დოკუმენტაციის მონერგების შემდეგ ენერგოვაჭურვების გაცემა დაიწყება. სიების დაზუსტება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შედის.

ზოგა ავციანური



ბანცხადაბა აშქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმაგალმშენებელი“ 2016 წლის 12 ნოემბრიდან აცხადებს აშქციონის სხვადასხვა სახის ფერადი ღიბონის ჯარის რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1 – სიღენძის ჯართი:

სუფთა ჯართი – სავარაუდოდ 9657 კგ ±30% - საწყისი სააშქციონო ფასი შეადგენს 45706.58 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დღ-გ-ს გარეშე;

კოლექტორების ჯართი – სავარაუდოდ 4100 კგ ±30% - საწყისი სააშქციონო ფასი 11%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 17270.72 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დღ-გ-ს გარეშე;

გრანულიების და კოჭების ჯართი – სავარაუდოდ 8165 კგ ±30% - საწყისი სააშქციონო ფასი 18%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 31688.85 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დღ-გ-ს გარეშე;

მაღალი ძაბვის სადენების ჯართი – სავარაუდოდ 4892 კგ ±30% - საწყისი სააშქციონო ფასი 43%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 13197.69 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დღ-გ-ს გარეშე;

დაბალი ძაბვის სადენების ჯართი – სავარაუდოდ 3595 კგ ±30% - საწყისი სააშქციონო ფასი 60%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 6806.05 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დღ-გ-ს გარეშე;

ლოტზე ვაჭრობის ბიჯი – 10 ცენტი 1 კილოგრამ ჯართზე.

აშქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აშქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“ ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით (ექვივალენტი ლარში) დღ-გ-ს ჩათვლით შემდეგ რეკვიზიტებზე:

USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENE BELI, Account: GE59BG000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმაგალმშენებელი“, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG000000298256900.

დოლარის ლარში გაანგარიშება მოხდება აშქციონის ჩატარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ვაგების შემთხვევაში „ბე“ მონაწილეს დაუბრუნდება უკან. ლოტში კონკურენტის გარეშე მონაწილე პრეტენდენტი ავტომატურად გამოცხადდება გამარჯვებულად.

მიმღებელი ვალდებულია აშქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ

აშქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საქონელზე საკუთრების უფლება და „ბე“ არ დაუბრუნდება.

აშქციონში მოგებული ლოტი №1 განსაზღვრული ჯართის გადაწონვა განხორციელდება სს „ელმაგალმშენებლის“ ელექტრონულ სასწორზე.

აშქციონში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია თავისი ხარჯებით უზრუნველყოს მოგებული საქონლის ტრანსპორტირებისათვის ტრანსპორტის დაქირავება.

სხვა კონკრეტული დეტალები დაზუსტებული იქნება პრეტენდენტთან გასაფორმებელ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

ინფორმაცია აშქციონის ჩატარების შესახებ

აშქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიღდება ყოველ დღე უქმი დღეების გარდა, 10⁰⁰ – დან 15⁰⁰ – საათამდე. (ქობილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აშქციონი გაიმართება 2016 წლის 16 ნოემბერს 12⁰⁰ საათზე შემდეგ მისამართზე: ქობილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აშქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

- 1. განცხადება აშქციონში მონაწილეობის შესახებ (მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით: მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი).
- 2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
- 3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
- 4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
- 5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აშქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

აშქციონის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 77 48 86 86, 5 93 922 802, 5 77 003 707

სს „ელმაგალმშენებლის“ მუდმივმოქმედი სააშქციონო და საკონკურსო კომისია.

საქართველო
ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი
კრედიტის/სესხის №50064-001 GEO
დავალების სახელწოდება: ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის ზედამხედველობა
კონტრაქტი № BBRP/CS/QCBS-01

საქართველოს მთავრობამ განვითარების პარტნიორებისაგან მიიღო დაფინანსება ბათუმის შემოვლითი გზის პროექტისათვის. აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთქმული კონტრაქტის ფარგლებში გადახდების განსახორციელებლად. კონტრაქტი ერთობლივად დაფინანსდება აზიის განვითარების ბანკის (ADB) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის მიერ (AIIB). აზიის განვითარების ბანკი წარმოადგენს პროექტის წამყვან დამფინანსებელ პარტნიორს და განახორციელებს მის ადმინისტრირებას არსებული თანა-დამფინანსებლის სახელითაც. თანადაფინანსებლის (AIIB) წესდება ითვალისწინებს უნივერსალურ შესყიდვას და მასზე არ ვრცელდება შეხვედრის მონაწილეთა ეროვნების მიხედვით. თუმცა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, თავი VII -ით გათვალისწინებული, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ტენდერში მონაწილეობას ვერ მიიღებენ ის ფირმები, რომელთა ქვეყანაშიც შემსყიდველის ქვეყნიდან აკრძალულია საქონლის იმპორტი, ან სამუშაოს და მომსახურების კონტრაქტის გაფორმება ან პირთა მართვა გადახდების განხორციელება აღნიშნული ქვეყნიდან. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის ზედამხედველობა.

დავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 42 თვე. შერჩევა განხორციელდება ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული (QCBS) შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers, (რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: <http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers>)

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის მეშვეობით: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=131858 არაუგვიანეს 2016 წლის 10 დეკემბრისა.

GEORGIA
BATUMI BYPASS
ROAD PROJECT
Credit/Loan No.: 50064-001GEO
Name of the Assignment: Construction Supervision for Batumi Bypass Road
Contract No: BBRP/CS/QCBS-01

The Government of Georgia has applied for financing from development partners toward the cost of Batumi Bypass Road Project. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. This contract will be jointly co-financed by ADB and the Asian Infrastructure Investment Bank (AIIB). ADB is the lead financing partner for the project and administers it on behalf of the other co-financier. As the Charter of the co-financier AIIB requires universal selection, no nationality restrictions apply. However, firms shall be excluded if by an act of compliance with a decision of the United Nations Security Council taken under Chapter VII of the Charter of the United Nations, the Purchaser's country prohibits any import of goods or contracting of works or services from that country or any payments to persons or entities in that country. The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible consultants to express their interest for the following Consultancy Service: Construction Supervision for Batumi Bypass Road.

Approximate duration of the assignment: 42 months. Selection will be done according to the Quality and Cost Based Selection Method (QCBS) provided in Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers (available at <http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers>)

The proposals will be submitted by means of the ADB web page: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=131858 not later than December 10, 2016.

ფარიკაობა

მხარს დაუჭერან თბილისს?



წლეულს 26-27 ნოემბერს მოსკოვში ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება, რომელიც ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას აირჩევს. თუმცა, პრეზიდენტობის კანდიდატი ერთადერთია - ამ ორგანიზაციის ამჟამინდელი თავკაცი ალიშერ უსმანოვი (რუსეთი). კონგრესს ქართველთაგან ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ზაზა მჭედლიძე, გენერალური მდივანი დავით სახვაძე და ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ ზაზაძე დაესწრებიან. ამ სამუშაოს პრეზენტაციასა და ქართული ფარიკაობის სახელეო წარსულ-ანგარიშს და მოკიდებული, კონგრესის 144 დელეგატი დაუჭერს თუ არა მხარს საქართველოს დედაქალაქს, რომელმაც მოფარიკავეთა 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე თავისი კანდიდატურა წარადგინა და კონგრესზე ორი კონკურენტი ეყოლება - უნგრული დიორი და პოლონური ტორინი, სადაც წლეულს მოფარიკავეთა ევროპის

ჩემპიონატი მოეწყო. რადგან კონტინენტის პირველობა ვახსენეთ, აქვე ვიტყვი იმასაც, რომ 2017 წელს მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი სწორედ თბილისში გაიმართება. აქვე ჩატარდება ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის კონგრესი, რომელზეც ახალ პრეზიდენტსა და აღმასკომის წევრებს (ერთ-ერთი კანდიდატი დავით სახვაძე იქნება) აირჩევენ.

საქართველოს მოხალავეთა ნაკრების წევრები - ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონი და რიოს ოლიმპიადის მონაწილე სანდრო ბაზაძე, მისი ძმა - 23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ბექა ბაზაძე, ასევე, მიხეილ მარდალაძე შვილი, საბა სულაშვილი, ნიკა შენგელია და ვაჟა რეჭია ამჟამად თბილისში ემზადებიან და 2-4 დეკემბერს ბუდაპეშტში მსოფლიოს თასის პირადგუნდურ გათამაშებაში გამოცდიან საკუთარ შესაძლებლობებს.

ლაშა ღიღია

ფარიკაობა

ვიტო კოლელიშვილი:

„გულშემატკივარი ჩვენთვის მე-16 მოთამაშეა“

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა გუშინ, „შეგარდენის“ სტადიონზე წვრთნა გამართა, რომელიც ღია იყო. ვარჯიშის დასრულების შემდეგ მედიასთან ნაკრების წევრმა ვიტო კოლელიშვილმა იაპონიასთან მოახლოებული მატჩის შესახებ ისაუბრა.



„გუნდში ძალიან კარგი განწყობაა - პირადად მე ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან საქართველოს ნაკრებში სამი წელი-

წადა, სხვადასხვა მიზეზთა გამო არ მოთამაშე. ყველა ბრძოლა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამ შემთხვევაში - პირველი განსაკუთრებით, რადგან შემდეგი შეხვედრებიც ძალიან ძვირფასი გუნდებთან გვაქვს. იაპონიასთან კი აქამდეც ბევრჯერ გვითამაშე და ძალიან სწრაფ რაგბის ანიჭებენ უპირატესობას, თანაც დისციპლინირებული გუნდია. საქართველოში ბოლოს მოვუგეთ, მოსამზადებელი თამაში კი წავაგეთ. გულშემატკივარს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის - ისინი ყოველთვის მე-16 მოთამაშეები არიან და მოხარული ვიქნებით, თუ სტადიონზე მოვლენ, ჩვენ კი ვეცდებით, გამარჯვებით გვახაროთ.“ - თქვა კოლელიშვილმა.

საქართველოსა და იაპონიის ნაკრებთა შეხვედრა დღეს, თბილისში „მიხეილ მესხის“ სტადიონზე 15 საათზე დაიწყება.

ბადრი იაშვილი

ფეხბურთი

არგენტინა უფსკრულს მიაღმა


ბეჰვან მიაჩნია, რომ ლეო მესის მსოფლიოს ჩემპიონობის მოსაპოვებლად უკანასკნელი შანსი 2018 წელს რუსეთში მიეცემა, მაგრამ მოვლენები ისე ვითარდება, არაა გამორიცხული, არგენტინელები მომავალ ფორუმზე საერთოდ ვერ მოხვდნენ.

მორიგი იმედგაცრუება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს ბრაზილიაში ელოდათ, სადაც მარადიულ და პრინციპულ მეტოქესთან სამარცხვინო მარცხი განიცადეს - 0:3 (კოუტინიო, ნეიმარი, პაულინიო) და სამხრეთამერიკული შესარჩევი ჯგუფის სატურნირო ცხრილში მე-6(!) ადგილამდე დაქვეითდნენ, ფინალური რაუნდის საგზურს კი, მოგესხნებათ, ოთხი საუკეთესო დაეუფლებო (მეხუთედგაგალოსანს პლეი-ოფში მოუწევს ბრძოლა ოკეანეთის რჩეულთან).

რაც შეეხება გამარჯვებულებს, ისინი 24 ქულით ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებენ და უახლოეს მდევარ ურუგვაის (მან ეკ-

ვადორს სძლია - 2:1) ერთი ქულით უსწრებენ. სხვათა შორის, ნეიმარმა 50-ე სანაკრებო გოლი გაიტანა და პენტა-კამპეონთა ბომბარდირთა დავაში მხოლოდ პელეს, რონალდოსა და რომარიოს ჩამორჩება.

გიორგი შოთაძე



სელსურთი

ნახევარფინალური პითაპაუბი

ძუთიანის სპორტის სასახლეში დასასრულს უახლოვდება 20-წლამდე სელსურთელ ვაჟთა IHF-ის ევროპული თასის გათამაშება, რომელშიც შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობენ. ისინი წილისყრით ორ ჯგუფში გადახაზილდნენ. წარმატებით ითამაშა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა - სამივე მეტოქეს აჯობა და A ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა მან. მესამე მატჩი დიდი ბრიტანეთის თანატოლთა გუნდთან გამართა და 32:16 დაამარცხა. მასპინძლებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ცინცაძე, ხანდოლიშვილი, ორჯონიკიძე - 8 ბურთი გაიტანა, რუს-ტამოვი - 6, დინამიძე - 6, იოზაშვილი - 3, ბაინაზიშვილი - 2, გოგოლაძე - 2, არსენაშვილი - 2, ცხოვრებაძე - 1, მიქაეა - 1, მათნაძე - 1, გოგავა, ლაპაშვილი, მწვრთნელე-

ტომაც ბოლო ტურის პაექრობას მათ შორის ჯგუფში უძლიერესი უნდა გამოველინა. მასპინძლებმა ამ შეხვედრაშიც საკუთარი თამაშის სცენარი მოახვიეს თავს მეტოქეს: სწრაფი შეტევები და მკაცრი დაცვა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო - ქართველებმა სანადელს მიაღწიეს.

A ჯგუფში I ტური. ალბანეთი - საქართველო 10:55, სომხეთი - ბრიტანეთი 14:33.

II ტური. ბრიტანეთი - ალბანეთი 47:12, საქართველო - სომხეთი 47:8.

III ტური. საქართველო - ბრიტანეთი 32:16, სომხეთი - ალბანეთი 32:21.

საქართველო - 6 (13:4:34), ბრიტანეთი - 4 (96:58), სომხეთი - 2 (54:101), ალბანეთი - 0 (43:134) ქულა.

B ჯგუფში I ტური. მოლდოვა - კოსოვო 27:27.

II ტური. მალტა - მოლდოვა 15:48.

III ტური. კოსოვო - მალტა 52:18. კოსოვო - 3 (79:45), მოლდოვა - 3 (75:42), მალტა - 0 (33:100) ქულა.

შეჯიბრების მონაწილეებმა გუშინ დაისვენეს, დღეს კი მე-5 ადგილისთვის ითამაშებენ სომხეთი და მალტა. ნახევარფინალში საქართველო მოლდოვა შეხვდება, ხოლო კოსოვო დიდ ბრიტანეთთან გააარკვევს ურთიერთობას. სვალ ფინალები - მატჩები მესამე და პირველი ადგილებისთვის. გამარჯვებული გუნდი სხვა კონტინენტის წარმომადგენლებთან ერთად ინტერკონტინენტალის თასზე იასპარეზებს.

ლემსო ცინცაძე



ბი - ორჯონიკიძე, კალანაძე. წინა ტურებში საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდა სელსურთელებმა ორივე ორთაბრძოლა დიდი სხვაობით მოიგეს და ნახევარფინალის საგზური ვადამდე გაინაღდეს, ამი-

ლეგიონერი

ზაზას 4 ქულა, 4 მოხსნა და 4 ჩაჭრა

გუშინ „გოლდენ სტიმმა“ სტუმრად „დენვერ ნაგეთსი“ 125:101 დაამარცხა.

ფაჩულიამ, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში დაიწყო თამაში და გუნდს ოთხი ქულა, ამდენივე პასი და ჩაჭრა შესძინა. ზაზას ოთხი ჩაჭრა ოკლენდურ კლუბში სარეკორდო მაჩვენებელია. ფაჩულიამ პარკეტზე 14 წუთი დაჰყო, სულ ფარს ორჯერ შეუტია და ორივეჯერ - წარმატებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველმა ცენტრმა ორი



პერსონალური ჯარიმა მიიღო და ბურთი ერთხელ დაკარგა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, „მეომრებმა“ მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. სტეფ კარიმ 33 ქულა ჩააგდო, ტომპსონმა - 19, ხოლო დიურანტმა - 18.

„გოლდენ სტიმი“ შვიდი მოგებით და ორი მარცხით ნბ-ს დასავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზეა. „მეომრები“ 14 ნომბერს შინ „ფინიქსს“ შეხვდებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

ოთხთა ტურნირი

როსა როტასიას შედეგი მოაქვს

19-წლამდეელთა საერთაშორისო ტურნირის მეორე ტურში პოლანდიელთა თავკაცმა მარტინ სტეკელბურგმა მთლიანად გამოცვალა საკუთარი გუნდის თავდასხმის საზი, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ჯასტინ კლუივერტისა და თუნ კოოპმეინერსის გამოჩენა ესპანელებთან მხოლოდ პირველი ტაიმის მოსაგებად აღმოჩნდა საკმარისი - 1:0.



ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს მისი კოლეგა დე ლა ფუნტე გულხელდაკრეფილი ელოდა ბრძოლის ხასიათში გარდატეხის შეტანას. პირიქით, ახალი სისხლი მანაც შეუშვა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მინდორზე, რამაც გადაწყვიტა კიდევ მატჩის ბედი - ჯერ სარბიელზე ახალგაზრდულმა ხენარო როდრიგესმა გაათანაბრა ანგარიში ზუსტი თავურით, ხოლო ზედ საფინალო სასტვენის წინ პენალტით მისმა პარტნიორებმა გამარჯვებაც მოიპოვეს - 2:1.

ასე რომ, იბერიელები ქულათა მაქსიმუმით დამაჯერებლად ლიდერობენ ოთხთა ტურნირში და ორმაბათს ფრანგებთან ფრეც ჰყოფნით მთავარი პრიზის მოსახვეჭად.

საქართველო-საფრანგეთი - 0:4.

კოზა კოზახიძე

სანთელი

ის კაცი იყო, ვით შეშვანის კაცსა კაცობა ალიკო თავართქილაძის გამოსათხოვარი

„შენ რას ნაიღებ იმ ქვეყნად, სხვას არა წაუღია რა“ – ამ სიტყვებით მთავრდება ერთი მშვენიერი ლექსი ცხოვრების ამოებანზე. არც მას წაუღია არაფერი. სამაგიეროდ ამქვეყნად დატოვა დიდი განძი, გულუხვად და უშურველად:

სახელი დატოვა, სიყვარული დატოვა, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ თესა და ახარა.

ლამაზი ოჯახი დატოვა – მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. დიდებულად თქვა პოეტმა ასეთ ადამიანებზე, კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქსო.

ოლონდ, სამწუნხაროდ, ეს სიტყვები მერე და მერე გაცვიფრებს და გააიფრებს წამდაუნუმ და შესაბამისი დამისამართებით.

ალიკო თავართქილაძე კი მართლა დააკლდა ქალაქს. მართლ ქალაქს კი არა, ქვეყანას – კაცი ყოველმხრივ გამორჩეული და სამაგალითო.

ლამაზი სული ედგა ლამაზ სხეულში. სამოცდაათექვსმეტი წლისა ისე მოიყარა, არ გაცვიფრებია, არ გახუნებულა.

„საგარეო“ სახელად ავთანდილი ერქვა და მართლაც ავთანდილივით ასხლეტილმა და სახენათელმა იარა ბოლომდე, სანამ საწინააღმდეგო უკანასკნელი წამი თვე ფეხქვეშ ნიადი არ გამოაცალა.

მაგრამ ჭირს მინც არ აეთრევიან, არ გატყუებია, წუწუნის და ლეთის გმობა არ დასცდენია.

წარმატებული ბიზნესი მარ-

ტო თავისთვის როდი მოიხმარა. სხვისი იმედი და შემწე, ხელის გამმართავი, მხარში მდგომი იყო. ჰქონდა და უშურველადც გასცემდა.

მისი ეს თვისება ჭაბუკობიდან გვახსოვს მის მეგობრებს 62-ე სკოლაში და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე ერთად სწავლიდან თუ უკვე სიტყვარებაში, ყოველდღიური ურთიერთობიდან.

მრავალმხრივი კაცი იყო, დაბეჯითებით ვერ იტყვი, რა უფრო გამოარჩევდა.

სამომში სუფრასთან ჯდომის მოყვარულს დიდებული ხელი ჰქონდა. საჭმლის კეთება უყვარდა და ესერებოდა, ნაირნაირ კერძს შესთავაზებდა თანამეინახეთ. ამიტომაც განსაკუთრებით უყვარდათ მასთან სტუმრობა საბურთალოს, მაგალითი შვილის ქუჩაზე მეგობართა თავშესაფრად სპეციალურად აგებულ „კათარზისში“ თუ აგარაკზე ნიჩბისში.

ხომ ასეთი პენსიონი და დენდი იყო, შრომას არ უფრთხობდა. იხსენებენ: ახალგაზრდობაში ქარელში საბჭოთა მეურნეობაში მუშაობისას, როგორ აოცებდა ხელმძღვანელობას, თუ რა უჯიბათად იდგა მუხლამდე ტალახში ეს თბილისელი ნებიერი ყმაწვილი და საქმეში ტოლს არ უდებდა იქაურ გამოჯეკლ მუშებს.

ერთი მართლაც გამორჩეული უნარიც ჰქონდა: მტრად მოკიდებული ადამიანების ერთმანეთთან შერიგებისა და მორიგებისა. დაბოლოების გულს გაუხსნიდა და ერთ სუფ-



რანე პურს გაატყუებდა.

ამიტომ იყო: მთელი თბილისი იცნობდა და მთელ თბილისს იცნობდა. ათას სხვადასხვა მოულოდნელ წრეში და უბანში ჰყავდა მეგობრები და მოკეთებები.

და ახლა მის ცხოვრებაში, პანაშვიდზე ჯგუფ-ჯგუფად დგანან ქალაქი კარმაგი საბურთალოელები, ვაჭრები, ვერელები, მთაწმინდელები, დიდუბელები... მათი შვილები და შვილიშვილები და მათი შვილების და შვილიშვილების კბილა ახალგაზრდები და ფარული ცრემლითა და მორიდებული ღიმილით უზიარებენ ერთმანეთს მათთვის ძვირფას მოგონებებს.

უღვთო იყო ალიკოს სიკვდილი. სწორედ მისწინააღმდეგეები ნათქვამი შექსპირს: „ის კაცი იყო, ვით შეშვანის კაცსა კაცობა“... მსუბუქი ყოფილიყო შეშვანის მინა, რომელიც ხვალ მიგიბარებს, ძმაო! **თანაკლასაქალი**

სსრკ

მეშვიდობით, დიდი ქალბატონო!

ლეილა კაკულია

საქართველოში, მედეასა და თამარის სამშობლოში, სახელოვან ქალებს რა გამოლევს, მაგრამ მათ შორის შენ, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე განსაკუთრებული, ორიგინალური და ბრწყინვალე ქალბატონი იყავი. შენი ლამაზი ცხოვრებით, საკუთარ თავს სიცოცხლეშივე აუგე ძეგლი ხელთუქმნელი და უნეტარესი. შენი გარდაცვალებით ყველას დიდად დაგნწყვიტე გული. შენ ხომ ჩვენი მშობლიური ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე და ჩვენი თაობის ღირსეული და ბრწყინვალე წარმომადგენელი, მეგობრობის ბაირახტარი, გამოჩენილი სახელმწიფო, საზოგადო, პარტიული მოღვაწე და ჩინებული ინტელიგენტი, მგზნებარე კოლხიდელი, დიდი პატრიოტი და ქველმოქმედი ბრძანდებოდი. მაპატიე, რომ ვერ გისრულებ შენს თხოვნას და ვერ გაცილებ შენს უკანასკნელ გზაზე. პირობას გაძლევ, დაკრძალვის დღეს ტაძარში შევალ, შენთვის ვილოცებ, ავინთებ წმინდა სანთლებს, იმისთვის რომ უფალმა-ღმერთმა მარადიული სასუფეველი-საკენ გზა გაგინათოს და იქ დამამკვიდროს. იძინე მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყო შენს ნაჭრილობებ და სპეტაკ მკერ-



დზე მშობლიური ქართული მინა, რომელიც თავზე მეტად გიყვარდა და ყველაფერს აკეთებდი მისი დიდებისათვის. და ბოლოს, შენს პოეტურ სულს და ბუნებას, მინდა ლექსით შევგმინა:

მშვიდობით, დიდი ქალბატონო, ჩვენი ქალაქის მართლა მშვენიერა, კოლხელ ქალებში გვირგვინოსანო, შენ ერის ბურჯო და დიდება.

სამარადისო დიდება შენს ნათელ სახელსა და სულს.

გულთაზ ლაპარტყავა

ეპიტაფია

ქვეყნად არიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობითა და ადამიანური თვისებებით წარუშლელი კვალი დატოვეს მეგობრებისა და საზოგადოების მეხსიერებაში.

ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი **ზურაბ ფორაქიშვილი**.

წელს 25 აგვისტოს ზურაბს შეუსრულდა დაბადებიდან 90 წელი. მძიმე და დასანანი ისაუბრო წარსულში ისეთ ადამიანზე, როგორც ზურაბ ფორაქიშვილი იყო. სულ რამდენიმე კვირაა გასული მას მერე, რაც ის ჩვენს შორის აღარ არის.

ყველა, ვინც მას იცნობდა, განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწინებით იხსენებს. მიმზიდველ და კეთილ მოსურნე გარეგნობასთან ერთად, იგი ყველას ხიბლავდა თავისი ღრმა ერუდიციით, შარმით, იუმორის გამორჩეული გრძობით, სტუმართმოყვარეობით, ხელგაშლილობით და ახლობლებისათვის გაჭირვებაში მხარში დგომის უღალატო თვისებით.

ჩვენ შევეცდებით ზოგადად მანც გავახსენოთ მკითხველს ზურაბ ფორაქიშვილის პიროვნება, თუმცა ბევრი იცნობდა მას სრულიად საქართველოში, ბევრმა მძიმედ განიცადა ამ ცხოვრებიდან მისი წასვლა.

ზურაბ ფორაქიშვილი დაიბადა 1926 წლის 25 აგვისტოს ქალაქ პიატიგორსკში, სადაც დედამისი დასასვენებლად იმყოფებოდა. მისი მამა ირაკლი დავითის ძე ფორაქიშვილი, მონაწილე (საფრანგეთი) უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, საქართველოს მედიკალური ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ. დედას, ნინა კონსტანტინეს ასულ გუგუშვილს, კლასიკური გიმნაზიის განათლება ჰქონდა მიღებული.

ზურაბ ფორაქიშვილი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთაც გამოიარეს „ბოლშევიკების“ რეპრესიები. 11 წლის იყო, როცა მამამისი 1937 წელს დახვრიტეს, დედას კი მიუსაჯეს 10 წელი „სოლოვკების“ ბანაკში. ზურაბი და მისი უფროსი ძმა გიგა ბავშვთა სახლში უნდა გადაეყვანათ, მაგრამ მათ აღზრდაზე პასუხისმგებლობა დეიდამ,

სამუოგლოს ტრფიალი

პროფესორ ზურაბ ფორაქიშვილის სსრკ

ქალბატონმა ანა, იკისრა. დაბოლებული ბავშვები და დეიდა მშვენიერი ბინიდან სარდაფში გადაასახლეს. ბავშვების გადარჩენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ნათესავის, ცნობილი მეცნიერის ნიკო კვეციანი-კობახის ოჯახს, განსაკუთრებით კი მის მეუღლეს პედიატრს ევგენია ლეონტიევას, „ძალუ ჟენიას“, როგორც მას დაიბოლებული ბავშვები მიმართავდნენ.

მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, 1946 წელს ზურაბ ფორაქიშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თბილისის საშუალო სკოლა. მას სურდა განათლების გაგრძელება საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში (ენ. მგიმო), მაგრამ რეპრესირებული იყო და ამ ინსტიტუტში არ მიიღეს. 1951 წელს ზურაბ ფორაქიშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი.

ორ წელიწადში კი ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, და მასთან ერთად შეიცვალა ფორაქიშვილების ოჯახის ილბაღი. დაბრუნდა „სოლოვკებიდან“ დედა, უფროსი ძმა გიგა ფორაქიშვილი სამედიცინო პროფესიას გაჰყვა.

მიუხედავად გადატანილი ტრავმებისა და გულსტრუქებისა, არც ერთი წუთით არ დაუკარგავს ზურაბ ფორაქიშვილს სამშობლო სიყვარულისა და ნდობის გრძობა, მთელი თავისი ცხოვრება მან საყვარელი საქართველოს სამსახურს მიუძღვნა.

ფართო განათლებისა და დიდი ნიჭის მქონე ადამიანის ზურაბ ფორაქიშვილის მოღვაწეობის ასპარეზი დიდი იყო. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა: თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჯერ ინსტრუქტორად და სექტორის გამგედ, შემდეგ კი – მეცნიერების, კულტურის და სასწავლო დანახვებების განყოფილების გამგის მოადგილედ; საქართველოს უმაღლესი და საშუალო განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ, თსუ პრო-


რექტორად და რელიგიამცოდნეობის კათედრის გამგედ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის საქალაქო ინსტიტუტის რექტორად, კოლეგიის წევრად. რამდენი კეთილი საქმე დაასრულა, რამდენი უნივერსიტეტი და სკოლა ააშენა სრულიად საქართველოში, რამდენი სპეციალისტი აღზარდა და საერთაშორისო ასპარეზზე სამშობლო ასახელა!

პირად ცხოვრებაშიც ილბიანი გამოდგა ზურაბ ფორაქიშვილის ბედი. მან ბედნიერი და სანატორი ცხოვრების გზა განვლო მეუღლესთან, თსუ დოცენტ ვიტორია ბეკუაშვილსთან, თსუ ინტელიგენციის ქვემარტ წარმომადგენელთან, რომელიც ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში მუშაობისას გაიცნო, და რომელსაც ახლა უფლის ნიაღში მარადისულად შეუერთდა. დიდად ამყობდა ქალიშვილის, პროფესორ ნინო ფორაქიშვილის სამეცნიერო და საერთაშორისო წარმატებებით.

ვაჟკაცი ადამიანი იყო ბატონი ზურაბი. თბილისში 1978 წელს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნებასთან დაკავშირებით სტუდენტთა საპროტესტო აქციების დროს იგი ერთადერთი უნივერსიტეტის ხელმძღვანელი აღმოჩნდა, რომელიც რუსთაველის გამზირზე შუაში ჩაუდგა სტუდენტთა დემონსტრაციასა და გამოძახებული ჯარის კორდონს მანამ, სანამ ედუარდ შევარდნაძე კრემლის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. იმ დღეს მოხერხდა სისხლისღვრის თავიდან აცილება.

1997 წლის 26 აგვისტოს საქართველოს განათლების სისტემაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

2001 წლის 15 აგვისტოს კი ქ. თბილისში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მართლწესრიგის განმტკიცების, მოზარდთა შორის სამართალდარღვევების პროფილაქ-



ტიკის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულების, 1989-90 წლებში ცხინვალის რეგიონში წარმოშობილი ლოკალური კონფლიქტის დროს დაძაბულობის მშვიდობიანი მოგვარების ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციის თანამშრომლების ოჯახების მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერაში პრაქტიკული ზომების გატარების და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მუშაობის განხორციელების საქმეში წონადი წვლილის შეტანისთვის ზურაბ ფორაქიშვილი საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ამ ორდენით მეტად ამყობდა ბატონი ზურაბი, რადგანაც ამით აღიწინა მისი წვლილი ცხინვალსა და სამცხე-ჯავახეთში რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებაში, რაც სწორად პირადი უსაფრთხოების მუქართაც მიმდინარეობდა.

ზურაბ ფორაქიშვილის სახით საქართველოს მართლაც ერთგული, პატიოსნებით სავსე, თავის საქმეზე და სამშობლოზე შეყვარებული ადამიანი დააკლდა.

მედიკოსი, ჟურნალისტი

სანთელი

შენგელი, ვეფხო, ციცი და ნაირა ფიცხელაურები მწუხარებით იუნყებიან დედის

განო ფისხელაურის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 13,14XI, 16 სთ. დაკრძალვა: 15XI, 13 სთ.

მისამართი: ახმეტის რაიონი, სოფ. ახშანი.

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ოსიკო და დალი თავშეაფიცებს მუფლისა და რძლის

ინო გივის ასული წარათალი-თავზავაძის

გარდაცვალების გამო.

ქოჯკინის დაავადების მქონე ბავშვებს გამოკვლევები უფასოდ ჩატარდება



სამართლებლო სოლიდარობის ფონდსა და სამედიცინო კორპორაცია „ავექს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. თანამშრომლობის ფარგლებში ქოჯკინის დაავადების მქონე ბავშვებს და ახალგაზრდებს მაგნიტურ-რეზონანსულ და კომპიუტერულ ტომოგრაფიას უსასყიდლოდ ჩატარებენ. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო კვლევებისთვის სახსრების მობილიზება საბიუჯეტო თანხებიდან არ ხორციელდება.

კრიმინალი

თაღლითი 7000 დოლარს ითმისებდა...


სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სისტემის რუსთავის №16 დაწესებულების ინსპექტორი ნათელა ჯინჭარაძე დააკავეს.



ნათელა ჯინჭარაძე მოქალაქეს თავისი ახლობლის, ქ. რუსთავის №17 დაწესებულებაში მყოფი პატიმრის ვადაზე ადრე გათავისუფლებაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც მოსთხოვა და გამოართვა 7000 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი



შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1976 წელს დაბადებული მ. კ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით, სარფში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 104 აბი და აბის 4 ნატეხი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,83416 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. ასევე, ამოღებულია ჰეროინის შემცველი ფხვნილი და გამომშრალი მარისუხანა.

განცხადება

იხილება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მინის ნაკვეთი. ფასი - შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

ყველაზე სასარგებლო პოსტნეული

ტომატების მოხმარება ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდი სარგებლის მომტანია, აცხადებენ მედიკოსები.



ამის შედეგად მნიშვნელოვნად იკლებს ონკოლოგიურ, გულის სისხლძარღვთა დაავადებების, ასევე ოსტეოქონდროზის რისკი, მუხრუჭდება წინამდებარე ჯირკვლის გადიდების პროცესი.

ასეთი კარგი შედეგი მიიღწევა პომიდორში ანტიოქსიდანტიკოპინის, აგრეთვე კალიუმის, მაგნიუმის, რკინის, ფოსფორისა და ცინკის მაღალი შემცველობით.

პირტუალური ბრილიანტები



ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს პროგრამა, რომელიც სპეციალისტს თვალნათლივ დაანახებს, თუ როგორი იქნება დაანახნაგებული პატიოსანი თვლები. მზა ბრილიანტების სილამაზეს სამი პარამეტრი განსაზღვრავს: „ბრწყინვალება“ (ქვის არეკლილი თეთრი სინათლე), „ცეცხლი“ (ნაირფერი ათინათი) და „თამაში“ (ქვის მოძრაობისას სინათლის ცვალებადობა).

პროგრამა ყველა ამ თვისების იმიტირებას ახდენს და მათ წახანაგების რიცხვობისა და ფორმისა მიხედვით ცვლის. მისი მთავარი ღირსებაა არასწორი ფორმის მქონე პატიოსანი თვლების დანახნაგების უჩვეულო ფორმების გამოქვანა. ასეთი ქვების ტრადიციული ხერხებით დამუშავების დროს ბევრი მასალა მტვრად იქცევა. იუველირებმა უკვე შეძლეს კომპიუტერზე დანახნაგების ერთი პრინციპულად ახალი სახეობის შექმნა.

ინფარქტის „ამრილი“

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ კატები დიდად ამცირებენ შიშვეტონას და შეუძლიათ მისი ძალიან ცუდი შედეგის - ინფარქტის თავიდან აცილება.



ხშირია შემთხვევები, როცა არტერიული წნევის მატება პაციენტის ფსიქიკურ მდგომარეობაზე დამოკიდებული. კატასთან ურთიერთობა ადამიანს გუნებას უკეთებს და შიშის გრძნობისგან იცავს. ეს კი, თავის მხრივ, არტერიული წნევის მონესრიგების საუკეთესო გზაა.

ინტერნეტიდან

„ბუღარა და ბუღარისა“ იტალიურად



ელიანა კარტელა თავადაც საოცარი ვინმეა და იტალიის ბულვარული პრესა იძახის, ასე ბუღარა და ბუღარისასავით როგორ ნახეს ამ ორმა ადამიანმა ერთმანეთიო. აგერ, ამ ორი წლის წინათ, ელიანა კარტელამ არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ პოლიუმზე იჩხუბა და ერთ-ერთ კოლეგა მოდელს გვარიანი მუჯლუგუნიც უთავაზა.

დღემდე არავინ იცის ზემოთ დასახელებული საპოდიუმე სკანდალის ზუსტი მიზეზები, მაგრამ აპენინებზე ამბობენ, ასეთ ქალს მიზეზი რად უნდა, მაგან თუ ცუდ ხასიათზე გაიღვიძა, მტრისას და ავისას.

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქობულია

293-13-34

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

ბურაბ გომიანიშვილი

599 53-76-16;

ალექო

ასლანიშვილი

599 56-81-86;

რუსლან რუსია

599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაქიძე

514 33-33-24

გამომცემელი:

შპს „თანადგომა“-1-გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკის“

გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა

„კოლორში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)

ს-323

ISSN 2233-3851



9 772233 385001

ავტორთა

საჩუქრადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერა, იყიდა, წაიკითხა!



უხსოვარი პალატის კარსი:

აშშ დოლარი - 2.4462; ევრო - 2.7031; ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.0370; 100 რუბლი - 3.8374; თურქული ლირა - 0.7711; აზერბაიჯანული მანათი - 1.4402; 1000 სომხური დრამი - 5.0915.

აიონი 11 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე +4, დღე +21; შიშანი რაიონები - ღამე +1, დღე +17; დასავლეთი საქართველო: ბაზი - ღამე +12, დღე +28; შიშანი რაიონები - ღამე +5, დღე +25; თბილისი: ღამე +7, დღე +18

დაგვიკავით.

მოგვწერათ:

ტელ: 293-13-34, 599-79-76-79

WWW.SAKRESP.GE